



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო კ მ ი N 2

სხდომის ჩატარების დრო:

29 დეკემბერი, 2021 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი N3.

ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორე სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია.

ესწრებოდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი გ.ბასილაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: პ.ლილუაშვილი და თ.ნადირაძე, საკრებულოს წევრები: ქალბატონები: მ.ჩიხლაძე, მ.ნაყარაძე, მ.სიმონიძე, თ.ჯულელი, მ.კოსტავა, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი, ხ.არველაძე, ქ.ხურციძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ბატონები: დ.მხეიძე, ბ.მახარაძე, ლ.სანიკიძე, ბ.ხამაშურიძე, ზ.მამასახლისი, მ.რიჟამაძე, ა.კოპალეიშვილი, მ.ჭოხონელიძე (სხდომის მუშაობაში ჩართული იყო დისტანციურად), ბ.ქებულაძე (სხდომის მუშაობაში ჩართული იყო დისტანციურად), გ.შუმანია, გ.მანაგაძე, გ.კილაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩვიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, თ.მესხი, ბ.ბრეგაძე.

სულ: 35 წევრიდან 34 წევრი

არ ესწრებოდა: საკრებულოს წევრი, ბატონი კ.გურული.

სულ: 1 წევრი

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი ი.ხახალეიშვილი, მერის მოადგილე, ბატონი ი.ქარქაშაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, ქალბატონი ნ.კაკაბაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.სვინტრაძე, საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, საკრებულოს აპარატის მოქალაქეთა მიღების, საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.ავალიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და მოადგილეები, ბატონები: დ.ნიშნიანიძე, ჯ.არაბიძე, ვ.სილაგაძე, დ.ზივზივაძე, მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მოქალაქე ნ.თვალავაძე.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.

საკრებულოს მიმდინარე სხდომის დღის წესრიგის პროექტის წარმოდგენამდე, სხდომაზე შესავალი სიტყვით გამოვიდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მოგესალმებით მეგობრებო, მივესალმები დამსწრე საზოგადოებას, მედიის წარმომადგენლებს, ქალაქის მერს, სამსახურების ხელმძღვანელებს, რა თქმა უნდა, საკრებულოს წევრებს. მიხარია, რომ დღევანდელი სხდომის დღის წესრიგის საკითხების მიმართ არის საკმაოდ მაღალი ინტერესი. მოქალაქეებს, არასამთავრობო სექტორს, ამ პერიოდის განმავლობაში, ჰქონდათ საშუალება იმ მნიშვნელოვან

საკითხთან დაკავშირებით, რომელსაც ჩვენ დღეს ვიხილავთ, საუბარი მაქვს 2022 წლის ბიუჯეტზე, კომისიის სხდომების შესახებ ინფორმირებულობა მოქალაქეებისა და არასამთავრობო სექტორისა, იყო უზრუნველყოფილი. შესაბამისად, დაინტერესებულ მხარეს, რომელსაც ჰქონდა ამ პროცესში მონაწილეობის, მოსაზრებების წარმოდგენის სურვილი, ჩვენ ნამდვილად დავუჭირეთ მხარი. ამავდროულად, კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი პრიორიტეტი არის მოქალაქეთა მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში. ამავდროულად, ჩვენი მთავარი მიზანია, მაქსიმალურად გვექონდეს ანგარიშვალდებულება თითოეული ადამიანის მიმართ. ჩვენს პრიორიტეტს წარმოადგენს ღია მმართველობა. დღეს, ჩვენ, საკრებულოს რიგით მე-2 სხდომას ვატარებთ დისტანციური რეჟიმის გამოყენებით. ამის საშუალება მიეცათ საკრებულოს წევრებს, ბატონებს: მ.ჭოხონელიძესა და ბ.ქებულაძეს, მათი მდგომარეობიდან გამომდინარე, საკუთარი წერილობითი მომართვების საფუძველზე. “

ამის შემდეგ, სხდომაზე გაიმართა დებატები საკრებულოს წევრების: მ.ჭოხონელიძისა და ბ.ქებულაძის მიერ, სხდომის მუშაობაში დისტანციურად მონაწილეობის თაობაზე:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუშანია**: „გთხოვთ, ბატონი ბექას და ბატონი მერაბის მონაწილეობა სხდომაში, არ ასახოთ ოქმში, ეს არის უკანონო. იმის გამო, რომ ხელფასების მომატებას ვერ ახერხებთ, ნუ დაუშვებთ აქ, ახალ პრეცედენტს, რომ საკრებულოს წევრებმა შევძლოთ რესტორნიდან, სახლებიდან დავესწროთ სხდომას. ყველამ კარგად ვიცით, რომ დღეს სხდომაზე არ გყავთ უმრავლესობა და ამიტომ აკეთებთ ამას. ცდილობთ, ხელოვნურად შეინარჩუნოთ უმრავლესობა, იმისათვის, რომ ხელფასების მომატება არ გადადოთ რამდენიმე დღით. ნოუჰაუა, პარლამენტშიც კი არ ხდება ასეთი რამ. ქვორუმი რატომ არსებობს? იმიტომ, რომ დასწრება სავალდებულოა. „ონლაინ“ რეჟიმში შეიძლება, სხდომის მთლიანად ჩატარება თუ ვერ ხერხდება, მაგრამ არსად არ არის საუბარი ჰიბრიდულ რეჟიმზე. არსებობს დასწრება „ონლაინ“ რეჟიმი და ჰიბრიდული. თუ ეს გინდოდათ, მაშინ რეგლამენტში უნდა ყოფილიყო ჩაწერილი. სადმე წერია, რომ იმის

გამო, რომ ვერ შეკრიბეთ ხალხი, მოახდინოთ „ონლაინ“ ჩართვა? რომ არ იხილებოდეს ხელფასების გაზრდის საკითხი გადადებდით? ქუთაისის გადაწყვეტილებები ხან „ვანოს შოუში“ ხვდება და ხან „ნიკას შოუში“. ეს არის სირცხვილი. ეს კენჭისყრები არ იქნება ლეგიტიმური და ვაპირებთ სასამართლოში ვიდავოთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **აკოხრიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ვეთანხმები ბატონ გიგას, დღეს არ გყავთ ხალხი. ეს არის უკანონობა. გადაწყვეტეთ ისე, როგორც ამას მოითხოვს კანონი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია**: „სამწუხაროა, რომ ჩვენი დეპუტატები, მათ შორის ოპოზიციური სპექტრის წარმომადგენლები, არ იცნობენ მთავრობის დადგენილებას, რომელიც ეხება იმ რეგულაციებს, რომელიც განსაზღვრავს საკრებულოს დისტანციურ საქმიანობას. საკრებულოს რეგლამენტში შავით თეთრზე წერია, რომ საკრებულო უფლებამოსილია სხდომა გამართოს დისტანციურ რეჟიმში. ამ კონკრეტულ საკითხს საფუძვლად უდევს საქართველოს მთავრობის დადგენილება, რომელიც საშუალებას აძლევს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, მათ შორის, წარმომადგენლობით ორგანოებს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელონ საქმიანობა დისტანციურ რეჟიმში. ჩვენ, საპატიო და ობიექტური მიზეზების გამო, რომელიც დააფიქსირეს საკრებულოს წევრებმა წინასწარ და გვაცნობეს, რომ ისინი არიან ინფიცირებულები კოვიდით, მათ სხდომაში მონაწილეობის უფლებას ვერ ჩამოვართმევთ. ამას, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ განსაზღვრავს საქართველოს მთავრობის დადგენილება და საკრებულოს რეგლამენტი. რაც შეეხება ბატონო გიგა, თქვენს განცხადებას, თქვენი გამოსვლის პასუხად შემიძლია გითხრათ, რომ უმრავლესობის დეპუტატებმა 48 საათის განმავლობაში ჩავიტარეთ კოვიდ ტესტები და უსაფრთხოების ყველა ზომები არის დაცული ჩვენგან. კიდევ ერთხელ ნათლად გამოჩნდა, რომ თქვენი მთავარი მიზანია, ხელი შეუშალოთ საკრებულოს მუშაობას და მის მიერ გადაწყვეტილებების მიღებას. რასაც არ კრძალავს კანონი, კრძალავს წესიერება. კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ ოპოზიციური სპექტრის წარმომადგენლების, ამ შემთხვევაში „ერთიანი ნაციონალი მოძრაობის“

წარმომადგენლების მიზანი არის ის, რომ ხელი შეუშალონ საკრებულოს მუშაობას. ხელი შეუშალონ იმ გადაწყვეტილებების მიღებას, რომელიც ხალხისთვისაა. ამავე დროს, ოპოზიციური სპექტრის წარმომადგენლებს არა აქვთ ელემენტარული თანაგრძნობა ჯანმრთელობასთან მიმართებით, რომელიც ჩვენს დეპუტატებს აწუხებთ. არანაირი სენსიტიური განცდა არა აქვთ იმის მიმართ, რომ ჩვენი დეპუტატები ინფიცირებულები არიან და მიუხედავად ამისა, საკრებულოს სხდომაში ლეგიტიმურად, კანონით, საკრებულოს რეგლამენტის გათვალისწინებით, იღებენ მონაწილეობას. მთელი რიგი საკითხები, რომლებიც ჩვენ დღეს გვაქვს განსახილველი, ეხება მოქალაქეებს, რომლებიც ელოდებიან ამ გადაწყვეტილებას. ბიუჯეტის იმ მუხლს, რომელიც ითვალისწინებს ხელფასების მომატებას, შეგიძლიათ არ დაუჭიროთ მხარი, მაგრამ ამ პროექტით არის გათვალისწინებული ჯანდაცვის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის, ტურიზმის, ქალაქის მდგრადი განვითარების პროგრამები და შეუქცევადობა იმ პროცესისა, რაც დარწმუნებული ვარ, რომ წარმომადგენს ჩვენს საერთო მიზანს. მინდა ბოდიში მოვუხადო საზოგადოებას იმ არეულობისათვის, რომელიც დღეს აქ მოეწყო. ხალხი ჩვენგან ელოდება ჯანსაღ დისკუსიას, არგუმენტირებულ პროცესებს, რომელიც მიმართულია კონსტრუქციისკენ. მთავარი და ერთიანი მიზანი უნდა გახდეს მოქალაქე და ქალაქის ბედი. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ამ მიზანში გავერთიანდებით და ამის საშუალება გვაქვს. მე არ ვწყვეტ ამ პროცესს, არაერთხელ მითქვამს, რომ ჩვენ მზად ვართ კონსტრუქციული ფორმატისათვის. საკრებულოს რეგლამენტი წარმომადგენს ამ ინსტიტუციის ერთგვარ მონაწილეს და მისი დაცვა არის ჩვენი უმთავრესი მიზანი. ჩვენ, დეპუტატები რამდენადაც დავიცავთ ამ რეგლამენტს, ხალხის, საზოგადოების მიმართ წარმოვაჩინოთ იმ დამოკიდებულებას, რასაც ინსტიტუციის მიმართ პატივისცემა ჰქვია. “

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ხარველაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მინდა გამოვხმაურო რეგულაციებს, რომლებიც თქვენ ბრძანეთ. ამ რეგულაციებიდან გამომდინარე, კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ არის იმპერატიულად განსაზღვრული წევრის უფლებამოსილება, სადაც წერია, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე მისი

უფლებამოსილების განხორციელების პროცედურული საკითხები განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით. ამასთან დაკავშირებით მინდა გაუწყოთ, რომ კონკრეტულად ეს მუხლი ეხება მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს. რეგლამენტში წერია, რომ საკრებულოს სხდომა, იმ შემთხვევაში თუ ამის მოცემულობა არსებობს, შეიძლება ჩატარდეს „ონლაინ“ რეჟიმში და ასე შემდეგ. საქმე ეხება ზოგადად საკრებულოს სხდომას და აქ არ არის მითითებული იმპერატიულად „ან/და“. ჩვენ ვიცით, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ კანონი არის ორგანული კანონი. მინდა გავამახვილო ყურადღება ამ საკითხზე, რადგან ჩატარებული სხდომა და ამ სხდომაზე რაც გვაქვს მოცემულობა, ონლაინ ჩართვის შესახებ, რომ არ იყოს სადაო და უკანონო, გთხოვთ, კიდევ ერთხელ განვმარტოთ. კანონი გვეუბნება რა არის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, მაგრამ რეგლამენტში საუბარია საკრებულოს სხდომაზე და არა საკრებულოს ცალკეული წევრის უფლებამოსილებაზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „პირველ რიგში, მოგიყვანთ საკრებულოს რეგლამენტის მე-7 მუხლის 5¹ პუნქტს. რეგლამენტში არის ჩანაწერი, რომელიც საშუალებას აძლევს საკრებულოს, წარმომადგენლობით ორგანოს, სხდომა ჩაატაროს „ონლაინ“ რეჟიმში, თუმცა, არ არის საჭირო დაზუსტებული იყოს საკრებულოს რამდენი წევრი ჩაერთვება დისტანციურად. ამ დაზუსტების ვალდებულება იმ ორგანული კანონიდან გამომდინარე, რომელიც თქვენ ახსენეთ, არც რეგლამენტისა და არც იერარქიულად მაღლა მდგომი კანონისა, არ არსებობს. მაშინ, როდესაც არსებობს საკრებულოს წევრის წერილობითი განმარტება, მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მიზეზი, საკრებულო უფლებამოსილია, სხდომა ჩატარდეს დისტანციურად. ამ შემთხვევაში ეს სხდომაც შეიძლება ჩაითვალოს დისტანციურად, ვინაიდან, საკრებულოს ორი წევრი სხდომაში მონაწილეობს „ონლაინ“. ქალბატონი თეა, იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეც განმარტავს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი ხ.არველაძე (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „სამწუხაროდ, ვერ დაგეთანხმებით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თ.ჯუღელი**: „ვიცი, რომ კანონის იმპერატიული განსაზღვრებები წაკითხული გაქვთ, მაგრამ კანონი ნორმატიული აქტების შესახებ თავად ადგენს იერარქიას, რომელშიც არ წერია, რომ აკრძალულია მთავრობის დადგენილებით ფორსმაჟორულ სიტუაციაში სხვადასხვა გადაწყვეტილებების მიღება. მთავრობის დადგენილებით, შესაძლებელია რომელიმე ნორმატიული აქტის მოქმედება შეჩერდეს გარკვეული ვადით, მათ შორის, ეს არის მთავრობის საგანგებო დადგენილება, რომელიც არის იზოლაციისა და კარანტინის წესების შესახებ მიღებული. ეს არის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კანონიდან გამომდინარე. საკრებულოს წევრებმა მოგვმართეს წერილობით, რომ ჩაერთონ საკრებულოს სხდომის მუშაობაში. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა, ვხედავთ, რომ არ არის ისეთი, რომ ვერ შეძლონ სხდომის მსვლელობაში მონაწილეობის მიღება. არცერთი არ იმყოფება სამედიცინო დაწესებულებაში, არიან საღ გონებაზე და არ გვაქვს არავითარი საფუძველი იმისა, რომ მათ ვუთხრათ უარი კანონით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებაზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუშანია**: „რომელი იურიდიული დოკუმენტით დაადგინეთ ქალბატონო თეა?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თ.ჯუღელი**: „1997 წელს მიღებულ საქართველოს სამოქალაქო კოდექსშიც ეწერა, რომ ტექნიკური საშუალებებით შესაძლებელია განხორციელდეს რიგი მოქმედებებისა. ჩვენ არ გვაქვს საფუძველი რომელიმე თქვენგანს უარი ვუთხრათ სხდომაში მონაწილეობის მიღებაზე იმის გამო, რომ რომელიმე იქნებით იზოლაციაში თუ კოვიდ დადებითი. ჩვენ, სწორედ იმიტომ ჩავიტარეთ ტესტი, რომ ერთმანეთისათვის საფრთხე არ შეგვექმნა. არ გვაქვს უფლება ამ დეპუტატებს დღეს უარი ვუთხრათ სხდომაში მონაწილეობის მიღებაზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუშანია**: „ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ვერც მე ვესწრებოდი საკრებულოს წინა სხდომას, მაგრამ არავის

დაურეკავს და არ შემოუთავაზებია, რომ თუ შესაძლებელი იყო, ხომ არ მქონდა სურვილი ამ წესით ჩავრთულიყავი სხდომის მუშაობაში. ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ ახალ ნოუჰაუს მოიფიქრებდით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თ.ჯუღელი**: „მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ საკრებულოს წევრს უფლება აქვს საპატიო მიზეზის შემთხვევაში მიიღოს მონაწილეობა. ეს ვერ ჩაითვლება არასაპატიო მიზეზად. შეგვიძლია გადავამოწმოთ, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა აძლევთ თუ არა მათ საშუალებას სხდომაში მიიღონ მონაწილეობა და მიიღონ გადაწყვეტილებები. ბატონ ირაკლის, როგორც საკრებულოს თავმჯდომარეს, შეეძლო ეხილა ეს განცხადებები. ისინი არიან კოვიდ დადებითები, არ იმყოფებიან კურორტზე და ამიტომ, არ გვაქვს უფლება უარი ვუთხრათ. ანალოგიურ შემთხვევაში, თქვენც შეგიძლიათ მოგვმართოთ. შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს თუ ჩვენს გადაწყვეტილებას არ ჩათვლით სწორად და მე სიამოვნებით ვიკამათებ სასამართლოში ამ საკითხთან დაკავშირებით, ამით შეიქმნება კარგი სასამართლო პრაქტიკა“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუმანია**: „სანამ ჩვენ ვსაუბრობთ, ბატონი პაპუაშვილი აირჩიეს პარლამენტის თავმჯდომარედ და არავის მოსვლია აზრად, ავადმყოფი პარლამენტის წევრები, ვინც ცუდადაა, ან შევებულებაშია, „ონლაინ“ ჩაერთოთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.სიმონიძე** (პარტია „ქართული ოცნება“): „მადლობა მინდა ვუთხრა ქალბატონ ხათუნას, რომელმაც მოგვცა მაგალითი საკითხის განხილვის დროს თავისი დამოკიდებულების გამოხატვისა. მადლობა, როცა შეგიძლიათ ასე იურიდიულად და დოკუმენტალურად იმსჯელოთ. მე არ შემიძლია ამდენად შევიდე იურიდიულ დეტალებში, ამის საშუალება აქ გაქვთ რამდენიმე დეკუტატს. ხმაურის გარეშეც შეიძლება ბევრი რამის გარკვევა. ჩვენ არ გვაქვს უფლება სხვანაირი ურთიერთობისა. დაინახოს საზოგადოებამ, რომ ჩვენ გვაქვს გონება და ხმით არ შევეჯიბროთ

ერთმანეთს. ამისთვის სხვა ადგილი არსებობს. კიდევ მადლობა ქალბატონო ხათუნა თქვენს განათლებისა და კულტურისთვის.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მე როდესაც წინა სხდომაზე განვაცხადე, რომ თქვენ შეეცადეთ ხელი შეგეშალათ სხდომის მსვლელობისთვის, თქვენ ხმა წართვით თქვენს ამომრჩევლებს, რომლებმაც მხარი დაგიჭირეს. დღესაც, თქვენ გვთავაზობთ, დეპუტატებს წავართვათ სხდომაში მონაწილეობის, ხმის უფლება და შესაბამისად, უარი ვუთხრათ კანონით განსაზღვრულ პროცესებთან მიმართებაში. ობიექტური მიზეზი განსაზღვრავს ამ რეგლამენტში ჩანაწერს. ობიექტური მიზეზი წარმოდგენილი გქონდათ წინა სხდომაზე, როდესაც ავად იყავით?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი გ.შუმანია: „არც მიფიქრია, რომ დასაშვები იქნებოდა.“

ამის შემდეგ, **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (შეიგვალა მე-2, მე-5 და მე-6 საკითხებზე აქტების პროექტების წარმომდგენი პასუხისმგებელი პირები. მე-2 საკითხზე, ბატონი ვალერი სილაგაძის ნაცვლად, პროექტის წარმომდგენ პასუხისმგებელ პირად განისაზღვრა ბატონი დავით ზივზივაძე, მე-5 საკითხზე საკრებულოს აპარატის უფროსის, ივანე ჟორჟოლიანის ნაცვლად, - საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ქალბატონი ცაგური პატარიძე, მე-6 საკითხზე, მერიის იურიდიული განყოფილების უფროსის, ბატონი ირაკლი გიორგაძის ნაცვლად, - მერიის იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ბატონი რუსლან გვეტაძე), ცვლილებებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორე სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის, დავით აბულაძის ადგილმონაცვლის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, კობა გურულის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ქალბატონი თეა ჯუღელი
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
 იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

2. ახალი კორონავირუსის („COVID-19“) გავრცელების გამო, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე M₂ (ავტობუსები 5 ტონამდე სრული მასით) და M₃ (ავტობუსები 5 ტონაზე მეტი სრული მასით) კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მომსახურების გამწევ კომპანიებზე, 2021 წლის 8 თებერვლიდან 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით პერიოდში, ნებართვების გაცემის ფასის გადაუხდელობით არსებული დავალიანების 2022 წლის ბოლომდე განწილვადებით გადახდის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი დავით ზივზივაძე
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
 სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
 ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
 მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერი სილაგაძე
 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
 სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
 ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
 მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნაწილების) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, სარგებლობაში

გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერი სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე

5. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ქალბატონი ცაგური პატარიძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

6. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი რუსლან გვეტაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული
განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

7. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამების განსახორციელებლად თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამებით განსაზღვრული

დონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 თებერვლის N41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ჯონდო არაბიძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - საბინაო ინფრასტრუქტურის
მართვისა და განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი

8. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის N167 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი დავით ნიშნიანიძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის –
საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო
შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი

9. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი დავით ნიშნიანიძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის –
საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო
შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-2 სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ **ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს**:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ქალაქის მოსახლეობისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხი გადის და ქალაქის ვიცე მერები არ ესწრებიან სხდომას. სასურველია, რომ დაესწრონ. ბიუჯეტის პროექტის წარმომდგენია ქალაქის მერი და თანამომხსენებელი საფინანსო სამსახური. თხოვნა მექნება, თუ შესაძლებელია,

ბიუჯეტის პროექტი წარმოედგინა ქალაქის მერს, ან ვიცე მერებს თავიანთი საკურატოროს მიხედვით. იმიტომ, რომ ჩვენ გვინდა მსჯელობა არა ტექნიკურ საკითხებზე, არამედ, შინაარსობრივ და პოლიტიკურ მხარეზე. ასევე, როგორც ვიცი, რამდენიმე ადამიანს აქვს განცხადება დაწერილი, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, აქვთ სიტყვით გამოსვლის სურვილი და გავცეთ მათ პასუხი. თითოეულ საკითხს, რომელსაც განვიხილავთ, ფრაქციას გვაქვს სურვილი კენჭისყრამდე მოგვცეთ რეგლამენტით გათვალისწინებული დრო და ჩვენი აზრი დავაფიქსიროთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ბიუროს სხდომაზე განისაზღვრა საკითხის წარმდგენი პირები, რომელიც გათვალისწინებულია რეგლამენტით. მერმა წარმოადგინა საკითხის წარმომდგენი პირი და შესაბამისად, ეს არის სამსახურის უფროსი. ამავდროულად, თქვენ თუ გულისხმობთ 2022 წლის ბიუჯეტს, საკითხზე თანამომხსენებლად მერის მიერ, ინიშნება შესაბამისი წარმომადგენელი და ამ შემთხვევაში ეს გახლავთ შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელი, ხოლო საკრებულოს შესაბამისი დადგენილების პროექტს, რეგლამენტისა და კანონის გათვალისწინებით, წარმოადგენს საკრებულოს თავმჯდომარე. თუ ეს იერარქია და მოცემულობა თქვენთვის მისაღები არ არის, შეგვიძლია ვიმსჯელოთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი ზ.ბრეგაძე (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „არანაირი პრობლემა არ არის, უბრალოდ, იყო სურვილი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „რაც შეეხება ყველა საკითხზე მონაწილეობას, ქალაქის მერი უარს არ გვეტყვის და რეგლამენტში ეს საკითხიც ნათლად არის ასახული და გაწერილი. შესაბამისად, ჩვენც მივცემთ ქალაქის მერს საშუალებას და ასევე, თქვენც გექნებათ საშუალება მიმართოთ კითხვებით და მიიღოთ პასუხები. მე ვფიქრობ, სამსახურის ხელმძღვანელები, აღმასრულებელი რგოლები ესწრებიან საკრებულოს სხდომას იმისათვის, რომ ნებისმიერ კითხვას, რომელიც ნებისმიერი მისამართით იქნება წამოჭრილი, გაეცეს პასუხი. რაც შეეხება განცხადებებს, ამას დღის წესრიგში შეტანა

არ სჭირდება. ერთ - ერთმა მოქალაქემ, რომელმაც დაწერა განცხადება, ეს გახლავთ ქალბატონი ნინო თვალავაძე, საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ, მას ექნება საშუალება გამოვიდეს ტრიბუნასთან და გააკეთოს შესაბამისი განცხადება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-2 სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით, გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 33-მა წევრმა. არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ბატონები: კ.გურული და ლ.შალამბერიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 20 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 13-მა წევრმა, ბატონებმა: გ.შუმანიამ, გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, კ.გაბუნიათ, რ.ქვაჩაკიძემ, დ.ბახტაძემ, თ.მესხმა, ბ.ბრეგაძემ, ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ქ.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, დ.ფხაკაძემ, ა.კობრეიძემ), **და ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-2 სხდომის დღის წესრიგი დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ირაკლი შენგელიას მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებების გათვალისწინებით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის პირველი საკითხის - „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის, დავით აბულაძის ადგილმონაცვლის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, კობა გურულის უფლებამოსილების ცნობის შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თ.ჯუღელმა**.

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით, გამოაცხადა

ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 31-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ბატონები: კ.გურული, ლ.შალამბერიძე, ბ.ბრეგაძე, რ.ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 25 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 6-მა წევრმა, ბატონებმა: გ.შუმანიამ, გ.მანაგაძემ, დ.ბახტაძემ, თ.მესხმა, ქალბატონებმა: ქ.ხურციძემ, ა.კოხრიძემ), **და ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, თეა ჯუღელის მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის, დავით აბულაძის ადგილმონაცვლის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, კობა გურულის უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ **განკარგულება N34** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მე-2 საკითხის - „ახალი კორონავირუსის („COVID-19“) გავრცელების გამო, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე M₂ (ავტობუსები 5 ტონამდე სრული მასით) და M₃ (ავტობუსები 5 ტონაზე მეტი სრული მასით) კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მომსახურების გამწევ კომპანიებზე, 2021 წლის 8 თებერვლიდან 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით პერიოდში, ნებართვების გაცემის ფასის გადაუხდელობით არსებული დავალიანების 2022 წლის ბოლომდე განწილვადებით გადახდის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და

ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბატონმა **დავით ზივზივამემ**.

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

აზრი გამოთქვას, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუშანია**: „მე, გუშინ, კომისიის სხდომაზე ვთქვი და დღესაც გავიმეორებ ფართო აუდიტორიის წინაშე, ასევე, აქ იმყოფება ქალაქის მერიც. ეს თემა ჩემთვის ცნობილია. ჩვენ დაგვიკავშირდნენ მძღოლები და მათთვის ქუთაისის მერიიდან სიტყვიერად იყო ცნობილი, რომ ისინი რაღაც დროის განმავლობაში გათავისუფლებულები იქნებოდნენ გადასახადისაგან, მაგრამ იურიდიულად ეს ვერ მოხერხდა. მინდა მივმართო ქალაქის მერს, ეს საკითხი დროებით გადავდოთ და არ მივიღოთ. ამით არაფერი დაშავდება არც იურიდიულად და არც ფინანსურად, იმიტომ, რომ ეს თემა ბიუჯეტში არ არის ასახული. მე გამოსავალიც ვთქვი, ვინაიდან, ვალების ჩამოწერა შეიძლება იყოს პრობლემა, ხომ არ სჯობს, ზუსტად იგივე პერიოდით, 2022 წელს გავათავისუფლოთ ეს მძღოლები გადასახადისგან. მოხდეს შეხვედრა მძღოლებთან და მოვისმინოთ მათი აზრიც, სამსახურის აზრიც, ვინაიდან, განსხვავებული პოზიციებია და გუშინ მერიის წარმომადგენელმა, რომელიც ასევე ტრანსპორტსაც წარმოადგენს, ვერ გაგვცა გარკვეულ კითხვებზე პასუხი. არა მგონია, ამ საკითხის დროებით გადადება იყოს პრობლემა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ლ.სანიკიძე**: „ეს იმდენად უშუალოდ, პირდაპირ მძღოლებს არ ეხება, რამდენადაც ეს ეხება გადამზიდებს, რომლებსაც ნაქირავები ჰყავთ მძღოლები. ჩვენ, მძღოლებთან უშუალო კავშირი არ გვაქვს. ეს არის კონტრაქტორი, რომელსაც უნდა გადაეხადა ეს მოსაკრებელი, მაგრამ ვერ გადაიხადა. თქვენ ამბობთ, რომ მძღოლები გავათავისუფლოთ. ჩვენ არ ვიცით მძღოლებს გადახდილი აქვთ თუ არა, მე მაქვს ინფორმაცია, რომ აქვთ გადახდილი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუმანია**: „ბატონი ზაქრო გამოცდილია ამ საკითხში და დამეთანხმება, რომ ნებისმიერი თანხა, რომელიც გადახდილია გადამზიდის მიერ, მძღოლებიდანაა აკრებილი. ის გეგმა ისევ მძღოლებს აწვება. ჩემი აზრით, კარგი იქნება თუ საკრებულო, ჩვენ სულ არ დავვსწრებით, ხელი, რომ არ შეგიშალოთ, შეხვდებით ამ ადამიანებს და მოუსმენთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „პირველ რიგში, ბატონო დავით, მაინტერესებს რა მოცულობის თანხაზეა საუბარი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი **დ.ზივზივაძე**: „დაახლოებით 135 ათას ლარზეა საუბარი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „როცა 2021 წლის ბიუჯეტში შემოსავლელ თანხას გადავწევთ 2022 წლის ბიუჯეტში, შესაბამისად, 2021 წლის თანხა შემცირდება ამდენით?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **დ.ნიშნიანიძე**: „რა თქმა უნდა, შემცირდება. გეგმასა და ფაქტს შორის დარჩება ზუსტად 135 ათას ლარიანი სხვაობა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „პროექტში, რომელშიც ახლა გაქვთ ჩასმული ანალიზისთვის გასაკეთებლად 2020 წლის ფაქტი, 2021 წლის გეგმა. 2021 წლის გეგმა კიდევ შემცირდება 860 ათასი ლარი რაც იყო?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **დ.ნიშნიანიძე**: „აქ, რა თქმა უნდა, ჩვენ გეგმას ვერ

შევამცირებთ ხელოვნურად. არ შეიძლება წლის ბოლოს ფაქტებს მოვარგოთ გეგმა და ისე გავალამაზოთ ბიუჯეტი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მთელი ცხოვრება ასე ვაკეთებდით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **დ.ნიშნიანიძე**: „შეიძლება თქვენ ასე აკეთებდით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ახლაც ასეა, ბოლო კომისიის სხდომაზე ბიუჯეტის შესწორებული ვარიანტი შემოიტანეთ და ეს ასე კეთდება, პრაქტიკაა ასეთი. მეორე შეკითხვა მაქვს, ვინ იყო ამ საკითხის ინიციატორი?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი **დ.ზივზივაძე**: „ამ საკითხის ინიციატორი იყო შესაბამისი სამსახური.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მინდოდა ეს დაგეფიქსირებინათ, ვინაიდან, ხვალ, ან ზეგ ამ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება იქნეს პრობლემა მძღვანელთან და გადამზიდებთან და ამ გადაწყვეტილებაზე მოგიწევთ პასუხისგება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ლ.სანიკიძე**: „2021 წელს ჩატარდა კვლევა გადამზიდებთან მიმართებაში. კვლევის შედეგად, როგორც კი შემცირდა მგზავრების რაოდენობა, შესაბამისად, მათ გადასახადი შეუმცირდათ 28%-ით. 2022 წელშიც, შემცირებული 28%-ით უნდა გააგრძელონ მოსაკრებლის შემოტანა. ეს 28%-იანი შეღავათი, რაც მათ გაუკეთა მერიამ, გადალახავს 135 ათას ლარს და კიდევ 90 ათასი ლარი დარჩება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ვსაუბრობ იმ გადამზიდავებზე, რომლებსაც თქვენ ახლა უკეთებთ შეღავათს და 2022 წელს უნწილვადებთ თანხას, მაშინ, რა დააშავეს იმ კეთილსინდისიერმა გადამზიდავებმა, რომლებმაც გადაიხადეს მოსაკრებელი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ლ.სანიკიძე**: „არავის არ აქვს გადახდილი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალიაშვილი**: „ჩვენ, მიმდინარე წელს გავაკეთეთ მგზავრთა ნაკადის მონიტორინგი, რამაც დაგვანახა, რომ 28%-ით უნდა შემცირებულიყო მოსაკრებელი. ამას გარდა, ზაფხულში, როცა იყო „ლოკდაუნი“, მათ არაფერი ჰქონდათ გადასახდელი, თუმცა, მათ იცოდნენ და იციან, რომ ეს არის ბიუჯეტის თანხა, რომელიც გათვლილია ბიუჯეტში და უნდა შემოვიდეს. ამიტომ, აქედან გამომდინარე, მძლოლებსა და მათ ოჯახებს ერთიანად, რომ არ დააწვეს ეს გადასახადი, მივიღეთ გადაწყვეტილება და გადანაწილდება 12 თვეზე. მათ ეს თანხა წელს არ გადაუხდიათ და აი, აქ ისმის კითხვა: რა ურთიერთობაში არიან მძლოლები თავიანთ გადამზიდავებთან? სწორედ აქ იჭედებიან გადამზიდავები. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია მძლოლებისგან, რომ მათ ეს თანხა გადახდილი აქვთ გადამზიდავებისათვის, მაგრამ არ ასახულა ბიუჯეტში. ვილაცის შემოსავლის მომატებას, მე ბიუჯეტის ხარჯზე ვერ მოვახდენ. ვფიქრობ, რომ ეს თანხა კიდევ შეღავათია მათთვის და შესაძლებლობა ექნებათ გადაიხადონ განწილვადებით. არ არის გამორიცხული, კიდევ ერთი ასეთი მონიტორინგი ჩავატაროთ და ვნახოთ რეალურად, რასთან გვაქვს საქმე. შეიძლება მოიმატოს და შეიძლება პირიქით, მოიკლოს, რაც იქნება საფუძველი იმისა, რომ გადასახადი შემცირდეს, ან მოიმატოს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუშანია**: „მე მესმის ბატონო სოსო და არ შევდივარ კამათში, გეთანხმებით 28%-ის შემცირებაში, თავად ამბობთ, რომ მძლოლები სხვას ამბობენ და გადამზიდავები სხვას, ამიტომ ვამბობ, შევხვდეთ.“

იქნებ, იმ გადამზიდავებს, კიდევ სხვისთვის აქვთ გადახდილი და სხვაგან მიდიოდა თანხა. ნუ მივიღებთ ნაჩქარევ გადაწყვეტილებას. შევხვდეთ და მოვუსმინოთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ჩვენ ვხედავთ, რომ სატრანსპორტო მონიტორინგის მიმართ ადგილობრივ თვითმმართველობას აქვს ნათელი და მკაფიო დამოკიდებულება. ამავდროულად, ამ პოლიტიკის გაგრძელების მიმართულებით, მივიღეთ დამატებითი დაფინანსება, რაც გულისხმობს გაჩერებებზე ტაბლოებისა და მონიტორების გაჩენას, რაც უზრუნველყოფს მოქალაქეების ინფორმირებულობას. ჩვენ ვიცით, რომ მუნიციპალური ტრანსპორტი გაჩნდა და ოპერირებს ქალაქში. გვაქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რომელიც ემსახურება ამ ავტოპარკს. ეს არის ჩვენი ხედვა. რაც შეეხება კერძო გადამზიდავებს, თქვენ შეგიძლიათ ჩამოგვიყალიბოთ თქვენი შეხედულება, რაც შეიცვალა გარემო, კოვიდ პანდემიიდან გამომდინარე, პანდემიის თანმდევი პროცესის მიმართულებით და მას შემდეგ რაც მონიტორინგით დადგინდა, რომ მგზავრთა ნაკადი შემცირდა, ჩვენ მყისიერად მივიღეთ გადაწყვეტილება. თუმცა ვფიქრობთ, რომ კერძო გადამზიდავებთან მიმართებაში გაჩნდეს ახალი სვლაგეზები, შემუშავდეს ახალი სატრანსპორტო ქსელი, ჩვენი მოქალაქეებისათვის გახდეს ტრანსპორტი ხელმისაწვდომი იმ ადგილებში, სადაც ახლა ამის საშუალება არ არსებობს. ამაზე მუშაობს შესაბამისი სამსახური. მაშინ, როდესაც ჩვენ მისაღები გვაქვს ქალაქის განვითარების გეგმა, ცალკე მისაღები გვექნება ტრანსპორტის რეგულაციის ნორმები და შესამუშავებელი შესაბამისი პოლიტიკა. რაც შეეხება უშუალოდ ამ საკითხს, მე კიდევ ერთხელ მინდა განვმარტო, რომ გადამზიდავების უმრავლესობას 31 დეკემბერს უმთავრდება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადა. ამ პირობებშიც კი, მათ გაუგრძელდათ ხელშეკრულება. ჩვენ თავიდან გადავხედავთ და გამოცხადდება ახალი საშუალებები, სადაც დადგინდება ახალი მოსაკრებელი და ასე შემდეგ. ამიტომ, ამ საკითხს უნდა შევხედოთ კომპლექსურად. ჩვენ, როცა დავაფიქსირეთ, რომ შემცირდა მგზავრთა ნაკადი, გადასახადიც შევამცირეთ. ჩვენი ამოცანაა, რომ მძღოლებსა და კონკრეტულ მოქალაქეებს შეუმცირდეთ საგადასახადო ტვირთი. ის ვალდებულებები, რომლებიც გაუჩნდათ გადამზიდავებს და ეს თანხა, გათვალისწინებულია 2022 წლის ბიუჯეტში. უარს ვერ ვეტყვით, თუ შეიქმნება დამატებითი პირობა, იქნება გადამზიდავების

განცხადება, საკრებულოს შესაბამისი დარგობრივი კომისია მზად არის იმსჯელოს ამ საკითხზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუმანია**; „ანუ, ჯერ მივიღოთ გადაწყვეტილება და მერე ვიმსჯელოთ?“

დღის წესრიგის მეორე საკითხზე დებატები შეწყდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით, გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 33-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ბატონები: კ.გურული და ლ.შალამბერიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 20 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 13-მა წევრმა, ბატონებმა: გ.შუმანიამ, გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძემ, დ.ბახტაძემ, თ.მესხმა, ბ.ბრეგაძემ, ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ქ.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, დ.ფხაკაძემ, ა.კობხრიძემ), **და ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის, დავით ზივზივადის მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ახალი კორონავირუსის („COVID-19“) გავრცელების გამო, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე M₂ (ავტობუსები 5 ტონამდე სრული მასით) და M₃ (ავტობუსები 5 ტონაზე მეტი სრული მასით) კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მომსახურების გამწევ კომპანიებზე, 2021 წლის 8 თებერვლიდან 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით პერიოდში, ნებართვების გაცემის ფასის გადაუხდელობით არსებული დავალიანების 2022 წლის ბოლომდე განწილვადებით გადახდის თაობაზე“ **განკარგულება N35** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მე-3 საკითხის - „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის

საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი, 2021 წლის 29 დეკემბრის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (განკარგულების პროექტის პრემულაში ჩაემატა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წერილის ნომერი და თარიღი შემდეგი რედაქციით: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 22 დეკემბრის N44-4421356261 წერილობითი მომართვის შესაბამისად:“), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბატონმა ვ.სილაგაძემ.

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით, გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ბატონები: კ.გურული, ლ.შალამბერიძე, გ.შუმანია, კ.გაბუნია, რ.ქვაჩვიძე, დ.ბახტაძე, ქალბატონი ქ.ხურციძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 23 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა 5-მა წევრმა, ბატონებმა: გ.მანაგაძემ, თ.მესხმა, ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ა.კობხრიძემ, ნ.ბიბილეიშვილმა), და ა ა დ გ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს განკარგულება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის, ვალერი სილაგაძის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N36 განკარგულების პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულება N36 ოქმს თან ერთვის)

მ ო ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-4 საკითხის - „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნაწილების) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი, 2021 წლის 29 დეკემბრის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათალისწინებით (განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წერილის ნომერი და თარიღი შემდეგი რედაქციით: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 22 დეკემბრის N44-4421356260 წერილობითი მომართვის შესაბამისად:“; შეიცვალა განკარგულების პროექტის დანართი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 29 დეკემბრის N44-442136356 წერილობითი მომართვით წარმოდგენილი დანართით) ცვლილებებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბატონმა ვ.სილაგაძემ.

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ჩვენ, ბიუროს სხდომაზეც განვიხილეთ ეს საკითხი და მოგვეცა საშუალება გარკვეული ცვლილებები გაგვეხორციელებინა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „კომისიურ ფორმატში განხილვის დროს, კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ლევანმა დააყენა წინადადება, რომ ინვენტარის გადაცემა მომხდარიყო დანართის მიხედვით, ოღონდ, ამოღებულიყო საბალანსო ღირებულებები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ლ.სანიკიძე**: „ამოღებულია“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ანუ, ამოიღეთ და ისე გადასცემთ? უნდა განვმარტოთ, რომ ბალანსზე აყვანა გაუჭირდება ორგანიზაციას ამ ფასების გარეშე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი **ვ.სილაგაძე**: „ქონების გადაცემის დროს, გათვალისწინებული იქნება ეს ყველაფერი მერის მიერ გაფორმებულ შესაბამის დოკუმენტაციაში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „განკარგულებაში გიწერიათ, რომ კონტროლზე პასუხისმგებელი არის ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისია და შესაბამისად, როგორადაც არ უნდა აიცილოთ ის ფორმალობა, რაც იურიდიულად მაინც მარტივი და მიღებული ფორმაა (საბალანსო ღირებულებით შესაბამისი ჩამონათვალით და ფასებით ხდება გადაცემა) მაინც მოგვიწევს ამაზე შესაბამისი ღონისძიებების გატარება, ამიტომ, გვანტერესებდა რა ფორმით იქნა გათვალისწინებული საბოლოოდ, თუ ამოღებულ იქნა ეს მომენტი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი **ვ.სილაგაძე**: „საბოლოოდ, მერის მიერ მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების დროს, გათვალისწინებული იქნება სათადარიგო ნაწილების ღირებულება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „განვმარტავ, რომ საკრებულოს კომპეტენციაში არ იყო ამის საჭიროება და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, აღმასრულებელი ორგანო დაარეგულირებს დანარჩენ საკითხებს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ბატონო ირაკლი, უნდა გაგცეთ ამაზე პასუხი. ამ მოწვევის საკრებულოს ჯერ არ ჰქონია ასეთი შემთხვევა, მაგრამ წინა მოწვევის საკრებულოზე ხშირად ხდებოდა, რომ ხან გვეზარებოდა შესყიდვების გეგმის დამტკიცება და მერმა დაამტკიცოსო და საკრებულოს უფლებამოსილებას არ ვახორციელებთ, ხან პირიქით, ვიმატებთ ვალდებულებებს, რომელიც ჩვენი ვალდებულება არ არის. შეუძლებელია ასე მუშაობა და გადაწყვეტილებების მიღება, ვინაიდან, ეს არის დადგენილი ნორმები, სტანდარტები, რომლის შესაბამისად ხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება, ბალანსზე გადაცემა, ბალანსზე აყვანა და ასე შემდეგ. რთულია ამ პირობებში მუშაობა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ლ.სანიკიძე**: „საკრებულო ხომ ვერ გააფორმებს მიღება-ჩაბარების აქტს. ჩვენ უნდა გამოვხატოთ თანხმობა გადასცეს თუ არა ქონება მერმა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 32-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ბატონები: კ.გურული, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 20 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 12-მა წევრმა, ბატონებმა: გ.შუშანიამ, გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძემ, თ.მესხმა, ბ.ბრეგაძემ, ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ქ.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, დ.ფხაკაძემ, ა.კობხრიძემ), **და ა დ გ ი ნ ე ს:**

ღღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის, ვალერი სილაგაძის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებების გათვალისწინებით.

ცვლილებები იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის **N 37 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნაწილების) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება N37** ოქმს თან ერთვის)

სხდომაზე მოსაზრებები გამოითქვა კენჭისყრის ჩატარების პროცედურის დაფიქსირების ფორმულირების თაობაზე:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) „კენჭისყრის დროს, თავის შეკავება სხვა ფორმაა და მონაწილეობის არმიღება სხვა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ქალბატონი **ც.პატარიძე**: „საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, საკრებულოს წევრს უფლება აქვს უარი თქვას კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებაზე. ანუ, მონაწილეობა არ მიიღოს კენჭისყრაში. თავის შეკავების თაობაზე, რეგლამენტში ჩანაწერი არ არის.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „არ მიიღო მონაწილეობა, ნიშნავს, რომ ყოველი კენჭისყრის წინ, რეგლამენტით და თვითმმართველობის კოდექსით

განსაზღვრული გვაქვს, რომ უნდა დავთვალოთ რა რაოდენობა იღებს მონაწილეობას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „როგორც სხდომის თავმჯდომარე, ყოველი კენჭისყრისას ვითვლი ხმებს, ვარკვევ, ვინ არის მომხრე, წინააღმდეგი და ვინ არ იღებს მონაწილეობას კენჭისყრაში და ვაცხადებ. ამასთან, საკრებულოს აპარატის ადმინისტრაციულ სამსახურს აქვს დავალებული რეგისტრაციის ჩატარება და ცალკე ითვლის.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „საკრებულოს სხდომის დაწყების წინ, ჩვენ ხელი მოვაწერეთ სხდომაზე დასწრების ფორმას. სწორედ, ასეთი რეგისტრაციის ფორმაა საჭირო ყოველი კენჭისყრის წინ.“

მ ო ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-5 საკითხის - „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე დადგენილების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, ქალბატონმა **ც.პატარიძემ**.

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „როგორც ვიცით და საქმის კურსში ვართ, საშტატო ნუსხა და განრიგი შეიცვალა. თხოვნა გვაქვს განმარტოთ, შესაბამისად, მოხდა თუ არა, კანონმდებლობით გათვალისწინებული იმ ნორმების

გათვალისწინება, რომელიც უშუალოდ ჩვენს თანამშრომლებს შეეხება. მათ გარკვეულ რაოდენობას, სტაჟის, გამოცდილების, ატესტაციის შედეგების მიხედვით კატეგორიები უნდა მომატებოდათ და არ შეცვლიათ. ამასთან, რა მოცულობით იცვლება საკრებულოში ჯამურად, შრომის ანაზღაურების ხარჯები?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ქალბატონი **ც.პატარიძე**: „საკრებულოში შრომის ანაზღაურების ხარჯები ჯამურად, საშუალოდ, 20 პროცენტით იცვლება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „პირველ კითხვაზე არ გამეცით ქალბატონო ცაგული პასუხი, კატეგორიებთან დაკავშირებით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ქალბატონი **ც.პატარიძე**: „კატეგორიების მატებას ველოდებით, გვპირდება ხელმძღვანელობა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია და ამ საკითხზე ჩვენ არაერთხელ გვექონია საუბარი, მათ შორის, აპარატის თანამშრომლებთან გვექონდა შეხვედრები. თქვენ ეს ძალიან კარგად მოგეხსენებათ, რომ კატეგორიების საკითხი რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, მთავრობის დადგენილებით და ასე შემდეგ. შესაბამისად, კატეგორიების მომატების პროცესი უპირატესად განისაზღვრება კომპეტენციიდან გამომდინარე. კატეგორია ეზრდება კონკრეტულ საქმიანობას, რომლითაც განსაზღვრულია ნებისმიერი საჯარო მოხელის ფუნქციები. ამ შემთხვევაში, სტაჟი და სხვა დამატებითი ვალდებულებები შეიძლება გახდეს დამატებით, შეხედულების საგანი, თუმცა, მთავრობის დადგენილებაში ნათლად წერია, რომ კატეგორია ენიჭება ფუნქციას და თუ ეზრდება ან ემატება ფუნქცია, ამ შემთხვევაში შეიძლება ვიზრუნოთ კატეგორიის მომატებაზე. მე ამ საკითხს ვტოვებ ღიად და ჩვენ ვაპირებთ ამაზე მსჯელობას. პირველ ეტაპზე, მაშინ, როდესაც ჩვენ ნუსხაში შეგვაქვს ცვლილება ამ საკითხების ირგვლივ ფართო მსჯელობა არ გაგვიმართავს, თუმცა, ვაპირებთ და მაშინაც მინდა შემოგთავაზოთ როგორც ოპოზიციურმა ნაწილმა, ამ

პროცესში მიიღოთ მონაწილეობა. ჩემი მთავარი მიზანი, როგორც ამ წარმომადგენლობითი ორგანოს ხელმძღვანელის, არის ის, რომ კატეგორიების ზრდამ კი არ გამოიწვიოს ხელფასის ზრდა, არამედ, კომპეტენციის ზრდამ დააწესოს შესაბამისი ანაზღაურების წესი და ეს არ იყოს საბაზი. ამ საკითხს ჩვენ კომპლექსურად და იურიდიულად შევხედავთ. იმედი მაქვს, საუკეთესო გადაწყვეტილებას თქვენთან ერთად მივიღებთ. მიმაჩნია, რომ ფუნქციურად, როგორცაა საკრებულოს მოქალაქეთა მიღების განყოფილება, ან თუნდაც, სამდივნო განყოფილება, რომელიც კოლოსალურ სამუშაოს ასრულებს, არ შეიძლება ვთქვათ, რომ იქ უნდა იყოს წარმოდგენილი მხოლოდ და მხოლოდ პირველი კატეგორიის სპეციალისტი და არ იყოს მეორე კატეგორიის სპეციალისტი. ამ საკითხის მიმართ სენსიტიურობა და მგრძობელობა არსებობს და ეს არის მსჯელობის საკითხი. საჯარო მოხელეები, რომლებიც ასრულებენ ერთი და იგივე ფუნქციას, მათ უნდა ჰქონდეთ ერთი და იგივე კატეგორია. თუ ფუნქციები გამიჯნულია, შესაბამისად, კანონი საზღვრავს და კატეგორიებიც განსხვავებულია. ეს მარტივი მოცემულობაა, თუმცა, ამაზე შეგვიძლია მსჯელობა და საკითხს ვტოვებ ღიად. ეს არ არის საკითხი, რომ იმპერატიულად დავუხვავთ წერტილი და დავასრულოთ, ამიტომ, გთავაზობთ ხოლმე ჩაერთოთ პროცესებში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ბატონ დავითს, საფინანსო სამსახურის უფროსს, შევამჩნიე, რომ ტექნიკურ საკითხებში ყოველთვის ერთვება. მომავალი წლის ბიუჯეტთან მიმართებაში, საშტატო ნუსხაში განხორციელებული ცვლილებით გამოწვეული ხელფასების მატება უკვე გათვალისწინებულია?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **დ.ნიშნიანიძე**: „დიახ, ასახულია უკვე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „დღეს რომ უარყოფითი გადაწყვეტილება მივიღოთ, ბიუჯეტს უკან გაითხოვთ და შეცვლით? წინასწარ

როგორ ასახეთ, ანუ, თქვენ უკვე იცით, რომ საკრებულო მიიღებს დადებით გადაწყვეტილებას?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი დ. ნიშნიანიძე: „თქვენი აზრით, როდის უნდა აგვესახა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მაშინ, ბატონო ბესო, 2022 წლის ბიუჯეტი უკვე დამტკიცებულად ჩავთვალოთ. ერთიც და მეორეც წარმოადგენს პროექტს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 32-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ბატონები: კ.გურული, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 20 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 12-მა წევრმა, ბატონებმა: გ.შუშანიამ, გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძემ, თ.მესხმა, ბ.ბრეგაძემ, ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ქ.ხურციძემ, ნ.ბიბილიევიშვილმა, დ.ფხაკაძემ, ა.კობრეიძემ), **და ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელის, ცაგური პატარიძის მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება N1** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მე-6 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და**

მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე დადგენილების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა, ბატონმა რ.გვეტაძემ.

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ე ს, დაისვა შკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი გ.შუშანია: „ბაღების მასწავლებლებს, სპორტული სექციების მწვრთნელებსა და დასუფთავების სამსახურის რიგით თანამშრომლებს რამდენი პროცენტით ეზრდებათ ხელფასები? ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, 20%-იანი ზრდა ექნებათ მათაც. აქედან გამომდინარე, მე მსურს მივმართო ქალაქის მერს შემდეგი წინადადებით, კერძოდ, უპრიანი იქნებოდა არ მოიმატოს ხელფასი ამ ყველაფრის ფონზე და დარჩეს სოლიდარული ამ ხალხის მიმართ, მითუმეტეს მაშინ, როდესაც დამსახურებაზე იყო წელან აქ საუბარი, თუ ასეა საქმე, მაშინ ყველაზე მეტად სწორედ ის ხალხი და რიგითი თანამშრომლები იმსახურებენ ხელფასის გაორმაგებას და არა ქუთაისის მერი, ან თუნდაც ჩვენ. სწორედ ამიტომ, შემოვდივარ წინადადებით, რომ საერთოდ არ გავიზარდოთ ხელფასები პოლიტიკური თანამდებობის პირებმა და ამის ხარჯზე მოვუმატოთ ჩვენს თანამშრომლებს, მასწავლებლებს და ასევე იმ ადამიანებს, ვინც ჩვენს ქალაქს ასუფთავებს. ასევე, ის 25 მილიონიანი ვალი რომ გვაქვს 10 წლის განმავლობაში გადასახდელი, ამ მიმართულებითაც შეიძლება თანხების მობილიზება. ეს იქნებოდა მორალურადაც და ყველანაირად იმაზე სწორი, ვიდრე ის, რომ ქალაქის მერი ხელფასს იორმაგებდეს და 5500 ლარს ინიშნავდეს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მ.ნიჟარაძე**: „ქალაქ ქუთაისის მერს, ნამდვილად უნდა ჰქონდეს იმ ოდენობის ხელფასი, რა ოდენობაც ახლა მას ენიშნება და არა ისე სამარცხვინოდ მცირე, რამდენიც მანამდე ჰქონდა. ახლა რაც შეგეხებათ თქვენ, ხომ არ გგონიათ, ვინმეს დაავიწყდა, თქვენი მმართველობის პერიოდში, 2012 წელს, რა ოდენობის ხელფასს, პრემიას, დანამატსა და ჯილდოს იწერდით? არავინ და არაფერი გახსოვდათ, მხოლოდ საკუთარ კომფორტს იყავით მორგებულები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუშანია**: „ახლავე მოგახსენებთ, მე ვიყავი იმ პერიოდში გუბერნატორის მოადგილე და 1760 ლარს შეადგენდა ჩემი სახელფასო ანაზღაურება, ასევე, საქმეც გაცილებით მეტი გვქონდა საკეთებელი. თქვენ რომ გამოდიხართ ახლა აქ და გულმოდგინედ იცავთ ქალაქის მერს, სპორტული სექციების მწვრთნელებს რომ 390 ლარი აქვთ ხელფასი, ეს იცით? ოდესმე დაინტერესებულხართ იმით, თუ რა ოდენობის სახელფასო ანაზღაურება აქვთ ბადის მასწავლებლებს ან მეეზოვეებს? ოდესმე, რომელიმე თქვენგანს, გაჩენია შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, რომ ისევ და ისევ მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებს, რომლებიც სხვათაშორის, მართლაც ძალიან ბევრს მუშაობენ, ის სახელფასო ანაზღაურება რაც მათ აქვთ, ყოფნით თუ არა? ზუსტად ამ ხალხზე უნდა ვისაუბროთ ახლა და არა ჩვენს ანაზღაურებაზე. პრემიებს რაც შეეხება, ზამთარში გაიცემოდა ერთი პრემია და ყველა თანამშრომელი და ხელმძღვანელი პირი, ასევე პოლიტიკური თანამდებობის მქონე, ზუსტად ერთი და იგივე ოდენობას იღებდა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მ.ნიჟარაძე**: „რას ლაპარაკობთ, ეგ თქვენ არ ინტერესდებოდით არასდროს მოსახლეობის პირობებით, არ გაინტერესებდათ ბიუჯეტის ფარგლებში რამდენის საშუალება იყო, მაინც იმატებდით ხელფასებს. არ იყო ასე? აბა კარგად გაიხსენეთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუშანია**: „რასაც ახლა იმახით, ზუსტად მაგას გეხვეწებით, ქალბატონო მარეხი, ჩვენი ხელფასები არ გავიზარდოთ და ამის ხარჯზე ამ ხალხს მოვუმატოთ - თქო. თანახმა ვართ ჩვენ, რომ შეამციროთ

ჩვენი ხელფასები და დაგვიტოვოთ ძველი ისევ, ასევე თქვენც შეგიძლიათ, სოლიდარულები იყოთ ჩვენს მიმართ და იგივე ხელფასზე იმუშაოთ. ეს იქნება ყველაზე სწორი გადაწყვეტა არსებული პრობლემისა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მ.ნიჟარაძე**: „რასაც ახლა თქვენ ამბობთ, ეგ არის სუფთა დემაგოგია და მეტი არაფერი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუშანიძე**: „რა არის დემაგოგია, ქალბატონო მარეხი? ასე პროცენტით იმატებს ქალაქის მერი ხელფასს, 5500 ლარს ინიშნავს, თან წუწუნებს, რომ 2500 ლარი არ მყოფნიდაო და პარალელურად 300 და 400 ლარზე აცხოვრებენ დანარჩენ საჯარო მოხელეებს. დემაგოგია კიარა, სამარცხვინოა ეს ყველაფერი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.სიმონიძე** (პარტია „ქართული ოცნება“): „ბატონო გიგა, ჩემი აზრით, ცოტა გაურკვეველია თქვენი პოზიცია ხელფასების მატებასთან დაკავშირებით, გასაგებია, რომ ცალკეული თანამდებობის პირების ხელფასების მატებას აპროტესტებთ, მაგრამ რიგითმა საჯარო მოხელეებმა, მაგალითად, საკრებულოს აპარატის თანამშრომლებმა, მერიის სამსახურების თანამშრომლებმა რაღა დაგიშავათ? ღმერთი არ გაანაწყენოთ, მაგათზე ენა არ მოგიბრუნდეთ და რაიმე არ თქვათ, ძალიან გთხოვთ. მე პირადად თქვენს მიერ გაჟღერებული პოზიციის პირველ ნაწილში, შეიძლება გამოგყვეთ, მაგრამ ამ ნაწილში ვერავითარ შემთხვევაში. მარტივი შედარება რომ გავაკეთო, ჩემს დაწესებულებაში მეზოვესაც კი უფრო მეტი ხელფასი აქვს, ვიდრე აქაურ საჯარო მოხელეებს და ეს ხალხი იცოდეთ, ამ ხელფასებით, ოჯახებს ინახავენ. ვინმეს თუ უნდა გაეზარდოს ხელფასი ამ შენობაში, ზუსტად ისინი არიან, ვინც ღამეებს ათენებენ ზუსტად აი, ამ დოკუმენტაციის მოსამზადებლად. ღმერთი არ გაგიწყრეთ და აუგი არ თქვათ ამ ხალხზე!“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუშანიძე**: „ქალბატონო მანია, როგორც ჩანს, თქვენ, წელან, ჩემი ნათქვამისთვის არ მოგისმენიათ, რადგან, სწორედ მაგას ვამბობდი, რასაც ახლა თქვენ მეუბნებით, აბსოლუტურ მზაობას გამოვთქვამთ

ჩვენ, მთელი ფრაქცია იმ მხრივ, რომ უარს ვამბობთ ხელფასის მატებაზე და თანახმა ვართ ეს მატერიალური რესურსი ზუსტად ამ ხალხს მოხმარდეს, ვინც რეალურად უფრო მეტს შრომობს და ჯანმრთელობას იფუჭებს ამ ფურცლების მოსამზადებლად ღამეების თენებაში. ეს არის უსამართლობა, რომელიც უნდა დასრულდეს. მოკლედ, მე ვარ მომხრე, რომ ხელფასი გაეზარდოს ბალის მასწავლებლებს, სპორტული სექციების მწვრთნელებს, მეუბოვეებს, რომელთა სახელფასო ანაზღაურება არის ზუსტადაც რომ სამარცხვინო და მეტი არაფერი. სწორედ ამას ვიძახი, აი, ქალბატონ ცაგურის რატომ უნდა გაეზარდოს 20%-ით ხელფასი და ქალაქის მერს 100%-ით? ეს ქალბატონი 24 საათი მუშაობს და სრულ თავის ძალისხმევას უძღვნის ამ სამსახურს და მთლიანად საკრებულოს. ამ ადამიანს 20% და ხახალეიშვილს 100% იმის მაგივრად შეგრცხვეთ ხმის ამოღება, აქეთ გადმოდიხართ შეტევაზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.სიმონიძე** (პარტია „ქართული ოცნება“): „საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გამოტანამდე, თითოეული საკითხი გადის შესაბამის პროცედურებს, თქვენ მიერ გაჟღერებული წინადადებები მოითხოვს იგივე ეტაპების თავიდან გავლას ბატონო გიგა, თქვენ ეს კარგად იცით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გ.კილაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ჩემი შეკითხვა შეეხება ბატონი სოსოს ანაზღაურებას, კერძოდ, პატივცემული იოსების ანაზღაურება ყოველთვიურად 5500 ლარამდე იზრდება, შესაბამისად, ერთი წლის განმავლობაში მისი შენახვა ქუთაისს დაახლოებით 66 000 ლარი დაუჯდება, ოთხი წლის განმავლობაში კი, - 264 000 ლარი, დღეების მიხედვით, ბატონი სოსოს ყოველდღიური ანაზღაურება 180 ლარი იქნება, სამი სულისგან შემდგარ, სოციალურად დაუცველ ოჯახს კი, ყოველთვიურად აძლევთ 180 ლარს. აქედან გამომდინარე, ბატონ სოსოსთან მაქვს შეკითხვა, ადეკვატურია თუ არა თქვენი ხელფასი იმასთან მიმართებაში, რასაც თქვენ ახორციელებთ და ადეკვატურია თუ არა იმასთან მიმართებაში, რასაც იღებენ სოციალურად დაუცველები?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალეიშვილი**: „კომენტარის გარეშე დავტოვებ ამ შეკითხვას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გ.კილაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „სხვა პასუხს მე პირადად არც ველოდებოდი, ნამდვილად არ გამკვირვებია, რადგან არ ხართ კომპეტენტური.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.ჩიხლაძე** (პარტია „ქართული ოცნება“): „სიმართლე გითხრათ, ვზივარ და განცვიფრებული ვისმენ ამ საუბარს. ძალიან დიდი ბოდიში თითოეულ თქვენგანთან, მაგრამ, ბატონი სოსო არის ქალაქის სახე, ქუთაისის პირველი პირი და მას არც უნდა ვადარებდეთ დანარჩენებს, აი, იმათ, ვის რეგალიებსაც აღარ ჩამოვთვლი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გ.კილაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „უკაცრავად, ვის აღარ შეადარებთ, სოციალურად დაუცველებს? სეგრეგაციას და სეგმენტაციას ახდენთ? ფენებად ყოფთ საზოგადოებას?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.ჩიხლაძე** (პარტია „ქართული ოცნება“): „მთელი ქალაქი მიცნობს მე, როგორც სამედიცინო სფეროში მოღვაწე ადამიანს და აბსოლუტურად ყველას შეუძლია დაადასტუროს ის, რომ სულს და გულს არ ვინანებ სოციალურად დაუცველებთან როდესაც მაქვს საქმე, მაგრამ ამ შემთხვევაში სირცხვილია უბრალოდ, რომ ქალაქის პირველი პირის ხელფასზე ამხელა პოლემიკა იყოს. ამიხსენით რა უნდა ქნას, დაჩაჩანაკებულმა უნდა იაროს?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **რ.ქვაჩავიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „უკაცრავად, მაგრამ მაინტერესებს, თქვენ თუ ფლობთ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ოდენობის თანხა დახარჯა რესტორნებში საქეიფოდ იოსებ ხახალეიშვილმა და იმერეთის ყოფილმა გუბერნატორმა, ბატონმა გივი ჭიჭინაძემ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალეიშვილი**: „ჩემზე არაფერს გეუბნებით, მაგრამ სანამ, ბატონ გივი ჭიჭინაძეს ახსენებთ, პირში წყალი გამოივლით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **რ.ქვაჩავიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ქალაქის ტერიტორიაზე რამდენი

ბენეფიციარია რეგისტრირებული იცით, ბატონო სოსო? თითოეულ მათგანზე, „მადლიერების სახლში“ რა ოდენობის თანხა იხარჯება ეს იცით?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალიაშვილი**: „ჩემს თანაგუნდელებს მოვუწოდებ, რომ ყველამ შეწყვიტოს ჩემი დაცვის მიზნით გამოსვლა და ამ მასკარადისათვის პასუხების გაცემა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გაბუნია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ბატონო სოსო, გაფიცებთ ყველაფერს, დიქტატორი ბრძანდებით თუ ვინ გგონიათ თქვენი თავი, რომ ამდენ ხალხს გადაუწყვიტოთ თუ რაზე ისაუბრონ და რაზე არა?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **რ.ქვაჩაკიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ბატონო სოსო, „მადლიერების სახლს“ რა ოდენობის დაფინანსება აქვს გამოყოფილი ბიუჯეტიდან იცით? ან რამდენი ბენეფიციარია იქ რეგისტრირებული და თითოეულზე რა ოდენობის ფინანსური რესურსი იხარჯება, იქნებ გვითხრათ? აი, ქალაქზე მზუნველი მერი ხომ ბრძანდებით, გაქვთ ეს ყველაფერი დაანგარიშებული? არა გაქვთ! 1 ლარი და 80 თეთრი იხარჯება თითოეულზე! სამაგიეროდ, 100 000 ლარზე მეტი გაქვთ დახარჯული თქვენ პირადად, ბატონ გივი ჭიჭინაძესთან ერთად რესტორნებში რომ დაბრძანდებოდით საქეიფოდ და დროს სატარებლად!“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალიაშვილი**: „დამთავრეთ ეს მასკარადი და საქმეს მიხედეთ. თავისი წესი აქვს ბოლოს და ბოლოს ყველაფერს!“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **რ.ქვაჩაკიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „რამდენი ბენეფიციარია ქალაქის ტერიტორიაზე რეგისტრირებული იცით? ფლობთ ინფორმაციას?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალიაშვილი**: „ვიცი, 860-მდე ბენეფიციარია რეგისტრირებული და კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ, რომ დაასრულოთ ეს მასკარადი და დემაგოგია, არ წამოგყვებით მსგავსი ტიპის საუბრებში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **რ.ქვაჩავიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „860 ბენეფიციარი რანაირად გყავთ, როდესაც 800 წერია? რამხელა აცილებაში ხართ რეალობასთან, საერთოდ ხვდებით?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გაბუნია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მერიის საშტატო ნუსხა რამდენი შტატით იზრდება და სახელფასო ანაზღაურებაც, ასევე ციფრობრივად, იქნებ მითხრათ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ბატონი **რ.გვეტაძე**: „საშტატო ნუსხით დამტკიცებული პირადი შემადგენლობის რიცხოვნობა უცვლელი რჩება, სახელფასო ანაზღაურების მიმართულებით კი, მერიის დაფინანსება 855 000 ლარია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გაბუნია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ბატონო სოსო, თქვენ ბრძანდებით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, გამომდინარე აქედან, რაც არ უნდა ბევრი დამცველი გყავდეთ თქვენი გუნდის რიგებში, მაინც მოგიწევთ ძალიან ბევრ კითხვაზე პასუხის გაცემა, მიუხედავად იმისა, მოგწონთ ეს თუ არა. აი, მაგალითად, ძალიან მაინტერესებს თქვენ ფლობთ თუ არა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენი შშმ პირი არის რეგისტრირებული ქალაქ ქუთაისის ტერიტორიაზე?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალიაშვილი**: „ვთქვათ და არ ვიცი, მერე რა? აი, ეგლა მაკლია, რომ თქვენ გაბაროთ ანგარიშები და თქვენ დამიჯდეთ აქ და ცოდნა შემიმოწმოთ. არ გაგცემთ პასუხს პრინციპულად.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გაბუნია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ხელფასს იმიტომ ვიზრდი, რომ ბევრი საქმე მაქვსო და პასუხისმგებლობა მაკისრიაო და რა პასუხებს მაძლევს ხედავთ? ელემენტარულად კითხვის დასმაც კი არ შეიძლება ქალაქის მერისთვის? 60000-ზე მეტი ადამიანია რეგისტრირებული ქალაქის მასშტაბით, როგორც შშმ პირი, აქ რომ დამჯდარა, საერთოდ არ უნდა იჯდეს, ქალაქის მერი რომ ჰგონია მისი თავი, მეზობლებისთვის გამარჯობის თქმა არ იცის ელემენტარულად, ქალაქში თავის გამოყოფა არ შეუძლია და ნეტა თქვენ თუ არ გრცხვენიათ ამას ტაშს რომ უკრავთ?

სამარცხვინოა ზუსტად ის, რომ ვლადპარაკობ, სიტყვით გამოვდივარ, შეკითხვები მაქვს, არ მაცლით და კენჭისყრაზე აყენებთ საკითხს, ყოჩად თქვენ. თუ არ გჭირდებათ ოპოზიცია თქვით და წავალთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალიაშვილი**: „სამარცხვინო პიროვნება ბრძანდებით, ბატონო კახა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გაბუნია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „სამარცხვინო და ხალხში არ გამოსაჩენი შენ თვითონ ხარ და გაქვს კიდევაც საქმე ეგრე მოქცეული. 50%-ით რომ გაქვთ გაზრდილი საშტატო ნუსხა და კიდევ ჩვენზე იშვერთ თითს, ამდენ ხელფასს და იმდენ პრემიას იწერდითო. გამოდიხართ აქ და დაჩაჩანაკებულმა რო არ იაროსო, 5500 ლარს უნიშნავთ ხელფასს და ოჯახებს 180 ლარზე აცხოვრებთ, მშივრებს და კიდევ სირცხვილზე მელპარაკებით აქ!“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **რ.ქვაჩაკიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „თანახმა ხართ იმაზე, რომ პოლიტიკური თანამდებობის პირებმა არ მოვიმატოთ ხელფასი და ამით დაზოგილი ფინანსური რესურსი მივმართოთ ბენეფიციარებისკენ? ჩვენ ერთხმად ვართ შეთანხმებული ამაზე და თქვენ რას იტყვით აბა?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია**: „რამდენმე საათია უკვე თქვენი ყვირილის მეტს არაფერს ვისმენთ, ელემენტარულად, პატივი ვცეთ ერთმანეთს. ნებისმიერი საკითხი, რომელიც თქვენს მიერ იქნება ინიცირებული, შესაბამისი წესით, რომელიც რეგლამენტით არის დადგენილი, შემოიტანეთ, განვიხილოთ და ვიმსჯელოთ მასზე. არც ისე გახლავთ საქმე აქ როგორც თქვენ ხატავთ რა, 2018 წლის პირველი იანვრიდან შევიდა ძალაში კანონი სახელფასო ანაზღაურების შესახებ, რომლის თანახმადაც საჯარო მოხელეები და მათ შორის, პოლიტიკური თანამდებობის პირებიც ვერანაირ დანამატებს და ვერანაირ პრემიებს ვერ იღებენ. ამის გარდა, როდესაც საერთო კრიზისული სიტუაცია შეიქმნა, ჩვენმა მუნიციპალიტეტმა უარი თქვა ხელფასის მატებაზე და ყველანაირ დანამატზე, ასევე პანდემიის დაწყებისთანავე, ჩვენ უარი ვთქვით საკუთარი ხელფასების მატებაზე, სწორედ მოსახლეობის ინტერესების სასარგებლოდ. ასევე მსურს აღვნიშნო, რომ, საქმე როდესაც ეხება შშმ პირებს,

სოციალურად დაუცველებს და ზოგადად მოწყვლად ჯგუფებს, მე ყოველთვის წამოგვევებით იმაში, რომ თუნდაც ჩვენი, პოლიტიკური თანამდებობის პირების ხელფასის ხარჯზე მოხდეს ამ ჯგუფების მატერიალურად უკეთესი უზრუნველყოფა. დანარჩენ პოლიტიკურ ნაწილზე კი ვამბობ, რომ ჯანსაღ გარემოში გაიხსნას დისკუსია და განხილვა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, როდესაც შშმ პირების მხარდაჭერაზე ვსაუბრობთ, ამ საკითხში ჩვენი პოზიცია ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ ამ ყველაფრის რეალიზება ვერ მოხდება ასეთ დესტრუქციულ გარემოში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „უკაცრავად, მაგრამ უნდა შეგახსენოთ, რომ თქვენს მიერ ნახსენები რეგლამენტის მიხედვით, საკრებულოს წევრებს აქვთ საკითხის დაყენების უფლება სხდომაზევე, არაა საჭირო მაინც და მაინც ფრაქციის სახელით დაინიცირდეს, საკრებულოს შესაბამისი რაოდენობის წევრებსაც შეუძლიათ, მიმდინარე სხდომაზე დააყენონ საკითხი კენჭისყრაზე. რეგლამენტს მარტო ერთ მხარეზე არ ჭირდება წაკითხვა, ამ ხალხმა წარმოადგინა საკუთარი წინადადება, რომლის უფლებაც და საშუალებაც, სწორედ თქვენს მიერ ნახსენები რეგლამენტით დადგენილი ნორმის მიხედვით აქვთ და თუ გსურთ, შეგიძლიათ დააყენოთ კენჭისყრაზე ხსენებული საკითხი და მოვიქცეთ კანონის შესაბამისად, ამის საფუძველზე კი, ქუთაისის მოსახლეობას საკმაოდ მკაფიო წარმოდგენა შეექმნება იმასთან დაკავშირებით, თუ რა განწყობა და მზაობა სუფევს საკრებულოში ამა თუ იმ საკითხის მიმართ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია**: „უკაცრავად, ბატონო ბესო, მაგრამ დღის წესრიგში გვაქვს აღნიშნული საკითხი?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „დღის წესრიგში საკითხის არსებობის გარეშეც იძლევა კანონი და კერძოდ, რეგლამენტი იმის საშუალებას, რომ უშუალოდ სხდომაზე მოვახდინოთ მისი ინიცირება. ასე რომ რეგლამენტში დაწერილის მარტო ცალმხრივი დანიშნულებით ციტირება, ვერ არის კარგი საქმე, ბატონი ირაკლი, ზუსტად მაგას ჰქვია პოპულისტობა. წაიკითხეთ რეგლამენტი და ნახავთ იქ, რაც წერია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „წაკითხული მაქვს რეგლამენტი ბატონო ბესო და თან ძალიან კარგად, შესაბამისი მუხლის ციტირებაც შემიძლია მოვიყვანო აქ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „წაკითხული თუ გაქვთ, ბატონო ირაკლი, მაშინ გესმით ესეიგი, რასაც ვამბობთ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **რ.ქვაჩავიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „სხვა რამეს ვამბობ, ბატონო ირაკლი, ჩვენ იმას კი არ ვიძახით, რომ საერთოდ არავის გაეზარდოს ხელფასები - თქო, პირიქით, პროფესიონალი და საქმის მკეთებელი საჯარო მოხელეები ვინც გვყავს, იმათ აუცილებლად უნდა მოვუმატოთ და ყველანაირად შევუწყოთ ხელი იმაში, რომ ჯანსაღ გარემოში იმუშაონ, მაგრამ არ ვუჭერთ მხარს იმას, რომ ხელფასი გაიზარდოს მაგალითად, საკრებულოს თავმჯდომარემ, საკრებულოს ფრაქციების თავმჯდომარეებმა და ქალაქის მერმა, უბრალოდ, თქვენს გულში ჩაიხედეთ და დაფიქრდით, რომელი ხელფასის მატებაზეა საუბარი, 5 სანტიმეტრი სიმაღლის თოვლი მოვიდა და ქალაქის მერმა რა უნდა გაეკეთებინა არ იცოდა და ამას უნდა მოვუმატოთ 100%-ით ხელფასი? არ გვინდა ასე! გაუზარდეთ მხოლოდ თანამშრომლებს. ბატონო ირაკლი, თქვენს გარდა, ამ დარბაზში მყოფი საკრებულოს წევრების გარდა, არავის გამოუთქვამს ამ საკითხთან მიმართებაში იმ ტიპის მზაობა, როგორც თქვენ გამოთქვით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გაბუნია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „აუდიტის დასკვნა მსურს გაგაცნოთ, კერძოდ, 2014 წლიდან 2018 წლის ჩათვლით, ადმინისტრაციული პერსონალის რიცხოვნობა 25%-ით გაიზარდა, ხოლო შრომის ანაზღაურება 71%-ით და ამის ფონზე იძახით „ნაციონალური მოძრაობის“ დროს ნეპოტიზმი სუფევდაო. ახლა კი, თანამშრომლებს უფრო მეტად იმიტომ ვერ უზრდით ხელფასს, რომ შტატები გაქვთ გაბერილი და აღარ გყოფნით. მთელი სიმართლე კი ის არის, რომ საკუთარ აქტივს უხდით ფულს. 2015-2019 წლებში კი, 17 932 დასაქმებული გვყავდათ საქართველოს მასშტაბით. ეს არის პრობლემა, მეტი არაფერი, ხალხს თვალებში ნაცარს აყრით და

თან აქეთ გვაბრალეხთ კიდევ რაღაცეებს. მართლა პირში წყალი გამოივლეთ, სანამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდს ახსენებთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალიაშვილი**: „ქალაქის მერს, კიდევ უფრო მეტი უნდა ჰქონდეს ხელფასი, რომ იცოდეთ, იოსებ ხახალიაშვილს კი არა, ქუთაისის მერს!“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გაბუნია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „რატომ უნდა ჰქონდეს უფრო მეტი ხელფასი, 2800 ლარი სამარცხვინოდ მიგაჩნიათ და იმიტომ? ოჯახებს 180 ლარზე აცხოვრებთ, ბენეფიციარების საერთო რაოდენობა არ იცით და რაში უნდა გიხადოთ 5500 ლარი, ერთი რესტორნიდან, მეორეში სასიარულოდ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **რ.ქვაჩაკიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „არაუშავს ბატონო სოსო, ეგ ხელფასიც თუ არ გყოფნით, პარალელურად უშიშროების სამსახურში რომ ბრძანდებით გაფორმებული და ნომრიანი აგენტი, იმის ანაზღაურებაც წაგეხმარებათ და ერთიანობაში აიღებთ ორ კაპიკს და აღარ ივლით მერე, დაჩაჩანაკებული.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალიაშვილი**: „ნეტავ თუ არ გრცხვენიათ იმ კლოუნადის, რასაც ახლა აქ აწყობთ, თქვენს ბრალდებებზე, არგუმენტირებული პასუხის გაცემაც კი სირცხვილია. თქვენი და თქვენი ფრაქციის თავმჯდომარის დამსახურებაა ზუსტად, ხან „ვანოს შოუში“ და ხან ვინ იცის კიდევ სად აღარ არის სასაცილოდ და სამარცხვინოდ წარმოდგენილი ჩვენი ქალაქი. ეგაა თქვენი საქმე, ბოროტი კლოუნები ხართ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუშანია**: „კარგით ახლა, ბატონო სოსო, მე რა შუაში ვარ მაგასთან? თქვენ გინდათ თქვათ, რომ გადაცმული დავდივარ ქუჩაში და სპეციალურად ვიქცევი ისე, რომ თქვენ სახელი შეგიღაბოთ? ჩემი საუბარი, ინტერვიუები და ა.შ ხვდება საინფორმაციო გამოშვებებში და ახლა, თქვენი ქმედებები სახუმარო, სატირულ-იუმორისტულ შოუებში თუ ხვდება, დიდი ბოდიშით, მაგრამ ჩემი ბრალი ნაკლებად არის.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალიაშვილი**: „ხსენებული ე.წ. იუმორისტული გადაცემები თქვენი პარტის ხელმძღვანელობის

მიერ დაარსებული ტელევიზიების პროგრამა რომ არის, ეს ყველამ იცის და არც მაგ „ტრიუკს“ დაგიჯერებთ ქართველი ხალხი და ქუთაისის მოსახლეობა. საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ჯანსაღ გარემოში, კარგი კომუნიკაცია და ჯანსაღი დებატები არ შეგიძლიათ.“

დღის წესრიგის მე-6 საკითხთან დაკავშირებით, დებატები შეწყდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 31-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ბატონები: კ.გურული, ლ.შალამბერიძე, გ.შუშანია, რ.ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 20 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა:11-მა წევრმა, ბატონებმა: გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, კ.გაბუნია, დ.ბახტაძემ, თ.მესხმა, ბ.ბრეგაძემ, ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ქ.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, დ.ფხაკაძემ, ა.კობრეიძემ), **და ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, რუსლან გვეტაძის მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სამტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება N2** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მე-7 საკითხის - **„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამების განსახორციელებლად თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესისა**

და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამებით განსაზღვრული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 თებერვლის N41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე დადგენილების პროექტი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (დადგენილების პროექტსა და დანართში გასწორდა სტილისტური ხასიათის ხარვეზები; დადგენილების პროექტის დანართის ცხრილის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „10. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სარდაფებში დამდგარი წყლის ამოსატუმბი მოწყობილობების შექმნა - გადაცემა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ამხანაგობებისათვის“), ცვლილებებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **ჯ.არაბიძემ**.

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს , დაისვა შკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მ.ნიჟარაძე**: „ბატონო ჯონი, თქვენ ალბათ, გექნებათ პასუხი ამ კითხვაზე. რამდენი ხანია საჭირო იმისათვის, რომ ქუთაისში არ იყოს კორპუსები, რომლებიც საჭიროებს გადახურვას და სადაც ჩასატარებელია სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე, თანადაფინანსებაში რა პროცენტით შემოდიან ამხანაგობები?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **ჯ.არაბიძე**: „ბოლო 4 წლის განმავლობაში, საკმაოდ დიდი მოცულობა იქნა ათვისებული კორპუსებისა, რომლებსაც გადაეცათ გადასახური მასალები და შემოდია ვთქვა, რომ 1500 კორპუსიდან 1000, რომლებსაც ჰქონდათ

სერიოზული პრობლემები, გადახურულია. დაახლოებით, სამი წელი არ დაგჭირდება, რომ სრულიად აღმოვფხვრათ ეს პრობლემა. რაც შეეხება სხვა მიმართულებებს, ვითვალისწინებთ რა მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნას და სოციალურ პრობლემებს, სამი ახალი პროგრამა შემოვიტანეთ და შევთავაზეთ ამხანაგობებს, რათა მათ შეძლონ თავიანთი კორპუსების სახურავების კეთილმოწყობა, რაშიც ქალაქის წილი იქნება გაცილებით მოცულობითი, დაახლოებით, 2200 ათასი ლარი. დღემდე არსებული პროგრამით ხდებოდა გადასახური მასალით უზრუნველყოფა, მომავალი წლიდან შეგვიძლია შევთავაზოთ არა მარტო გადასახური მასალის გადაცემა, არამედ, აღნიშნული სამუშაოების კაპიტალურად შესრულება, რომელ ამხანაგობასაც ექნება ამის სურვილი და მზაობა. რა თქმა უნდა, ეს იქნება თანადაფინანსებით წილობრივი მაჩვენებლით. საცხოვრებელი კორპუსების ძირითადი ნაწილი არის 5 სართულიანი და 9 სართულიანი. 5 სართულამდე ბინების შემთხვევაში, თანადაფინანსებაში იქნება მოსახლეობის მხრიდან 10%-მდე შენატანი, ხოლო 5-ზე მეტ სართულიანი კორპუსების შემთხვევაში, 10%-ზე მეტი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ა.კობხრიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „კერძო მოსახლეობას როცა რამე დაუზიანდება თავად უნდა გააკეთონ, მაგრამ როდესაც ქუჩიდან შედის საერთო კორპუსში? მაგალითად, ნიკვას ქუჩის N3-ში არის ურთულესი მდგომარეობა. ეს არის კომუნისტების დროს ჩაყრილი მიწები, გადაბმულია 100-იანი და 50-იანი მიწები, როგორ მოახერხეს ამათი შეერთება. ეს ჩემთვის უცხო სფეროა, მაგრამ ავიღე პასუხისმგებლობა და ამაშიც გავერკვევი. ყოველ ორ კვირაში ეს მიწები იბიძნება და ვაგზავნით მანქანას, რომ გავწმინდოთ. 3 დეკემბერს ვიყავით ღამით ჩასულები, გაგზავნილი გვყავდა ტექნიკური ჯგუფი. მილი იყო გახეთქილი და ეს მასები ყველაფერი ამოსული იყო სადარბაზოში. იქ არის სამი ბინა, რომლებსაც აქვთ ეს პრობლემა. ეს არის აუცილებლად მოსაგვარებელი პრობლემა. როგორც მოვიძიე, არის მაღალტექნოლოგიური მანქანა ბათუმში და თუ არის ბიუჯეტში გათვალისწინებული, რომ ეს მანქანა ჩამოვიყვანოთ ქუთაისშიც და დავეხმაროთ ხალხს, რომ არ იყვნენ ფეკალიებში. იქვე არის სტადიონი, სადაც თამაშობენ ბავშვები და დაგვეწამლებიან.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მე ვთხოვ ბატონ ჯონის, ინფორმაცია გააკეთოს პროგრამებთან დაკავშირებით. მე როგორც ვიცი, საბინაო პროგრამებში არის ის ნაწილი, რომელიც ეხება სადარბაზოების მოწესრიგებას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **ჯ.არაბიძე**: „საბინაო სამსახურს გააჩნია 15 სხვადასხვა პროგრამა, მათ შორის შიდა საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციის პროგრამა, მაგრამ ეს გულისხმობს კორპუსების სარდაფებში შიდა საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციას. კორპუსს გარეთ აღარაა ჩვენი კომპეტენცია, ეს არის წყალკანალის კომპეტენცია და მათ უნდა უზრუნველყონ მისი მოწესრიგება. რაც შეეხება შიდა ქსელს, მოქალაქეებს შეუძლიათ მოგვმართონ განცხადებით, სათანადო დოკუმენტაციასთან ერთად, წარმოგვიდგინონ საკუთარი მოსაზრებები და თანადაფინანსებით 90%/10%-ზე წილობრივი მაჩვენებლით გვაქვს პროგრამა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ა.კოხრიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „რატომ არის ეს საკითხი ამდენი წელი მოუგვარებელი?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „აღნიშნული პრობლემა არსებობს არა მარტო ნიკვას ქუჩის N3-ში. ანალოგიური პრობლემა არის ბუხაიძის ქუჩაზეც, სხვადასხვა ლოკაციებზე. საკანალიზაციო სისტემა წარმოადგენს საკმაოდ დიდ პრობლემას ქალაქში და ჩვენ ვიცით, რომ მიმდინარეობს პროცესები, რომლებიც ეხება რეაბილიტაციას. ჩვენ პირდაპირი კომუნიკაცია გვაქვს წყალკანალთან და მათ შორის, ადმინისტრაციულ ერთეულებს, მერის წარმომადგენლებს. როდესაც საუბარია გარე ქსელის დაზიანებაზე, ან გაწმენდაზე, პროცესში ერთვებიან ადმინისტრაციული ერთეულები და წყალკანალი უზრუნველყოფს შესაბამისი ტექნიკის, მანქანის თუ დამატებითი რესურსის მობილიზებას, რომლითაც ეს პრობლემა უნდა აღმოფხვრას. როგორც ვიცი, კომუნიკაციის პრობლემა წყალკანალსა და ადმინისტრაციულ ერთეულს შორის არ არსებობს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ა.კოხრიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „კომუნიკაციის პრობლემა ნამდვილად არ არსებობს. რამდენჯერაც შეიქმნა პრობლემა და დავრეკე, იმდენჯერ მოვიდნენ და მოაწესრიგეს. ამისთვის მადლობაც კი გადავუხადე. ჩემი ბინა ბატონო ირაკლი, გეკუთვნით თქვენ, ჩემი მაჟორიტარი ბრძანდებით და ჩვენთანაც ანალოგიური პრობლემაა. ის მანქანები, რომლებიც ჰყავს ქუთაისს, ამ პრობლემას ვერ აგვარებენ და ჩამოსაყვანია ბათუმიდან.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალიაშვილი**: „ქალბატონო ანა, მოვიგეთ იაპონიის საელჩოს 80 ათას დოლარიანი გრანტი და ვყიდულობთ აღნიშნულ მანქანას. ამხანაგობების თავმჯდომარეებს უნდა მიმართოთ, რომ იაქტიურონ და ჩვენმა პროგრამებმა იმუშაოს იმ კორპუსების სადარბაზოებში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუშანია**: „როგორც წავიკითხე, თუ ბინას არ ექნება სახურავი გადახურული, ის სადარბაზოს კოსმეტიკურ რემონტს ვერ გააკეთებს და მიმაჩნია, რომ სწორი გადაწყვეტილებაა. აქედან გამომდინარე, გთავაზობთ, ხომ არ გადავხედოთ თანმიმდევრობას და განვსაზღვროთ ბინების პრიორიტეტი. როგორც ვიცით, არის ავარიული ბინები და ამხანაგობამ შეიძლება დაიწყოს სადარბაზოების რემონტით და სახურავი ჰქონდეს მოუწესრიგებელი. ხომ არ დავიწყოთ მსჯელობა პრიორიტეტებზე და ბინამ პირველ რიგში მოაგვაროს აუცილებელი პრობლემები რაც მნიშვნელოვანია. ბევრი პრობლემაა და არ მივცეთ მათ არჩევანის საშუალება, რომ უკუღმა არ დაიწყონ კეთება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ა.კოპალაიშვილი**: „ქალბატონო ანა, მინდა თქვენ ნათქვამს ვუპასუხო, თქვენ დასვით კითხვა რატომ არ მოგვარდა ეს პრობლემა აქამდე. თქვენ ახსენეთ ნიკეას ქუჩა N3, მაგრამ თქვენ არ შეგხმინანებიათ სხვა კორპუსების მაცხოვრებლები, რომლებთანაც ეს პრობლემა მოგვარდა. ისე ნუ გამოგივათ, რომ თითქოს, თქვენმა წინამორბედებმა არაფერი გააკეთეს. ბევრი რამე მოგვარდა ნიკეაზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუშანია**: „რამე რომ გაგეკეთებინათ, არჩევნებს არ წააგებდით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ა.კოპალეიშვილი**: „არჩევნებზე თუ ვისაუბრებთ, კარგად განსაზღვრეთ ვისი უპირატესობა იყო, პარტიის, თუ მაჟორიტარის.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **ჯ.არაბიძე**: „ის, რომ პრიორიტეტი არის სახურავის შეკეთება და შემდეგ სადარბაზოს რეაბილიტაცია, ცალსახაა და დოკუმენტაციაშიცაა ასახული. პრიორიტეტს სხვა მიმართულებით ვერ განვსაზღვრავთ. ჩვენ თანმიმდევრობა გვაქვს განსაზღვრული იმის მიხედვით, ვინ წარმოადგენს პირველ განაცხადს. თუ პირველი პრიორიტეტი იქნება დაცული, ამის შემდეგ, განვსაზღვრავთ მომართვიანობის მიხედვით, სხვა პრიორიტეტს ვერ განვსაზღვრავთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუშანია**: „სწორედ ამას ვგულისხმობ. ჩაწერილი იყოს, რომ თუ კონკრეტული პრობლემა არა აქვს მოგვარებული ბინას, სხვას ვერ გააკეთებს. სახურავი და სადარბაზო წერია და სხვებიც მივაყოლოთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **ჯ.არაბიძე**: „ახალი პროგრამა შემოგვაქვს ავარიულ სახლებთან დაკავშირებით. ასევე, გვაქვს პროგრამაში განსაზღვრული გადახურვის დროს მიღების დაზიანების პრობლემის მოგვარება. ასევე, მინდა გავაჟღერო, რომ გვაქვს ახალი პროგრამა, რომელიც გულისხმობს სადარბაზოების შიდა სრულ რემონტს. აქ იქნება უკვე 15%-იანი თანადაფინანსება. მოსახლეობას თავად ექნება არჩევანის გაკეთების უფლება თუ მომსახურების რომელი სერვისით ისარგებლებს. საკმაოდ მნიშვნელოვან პროექტებს ვიწყებთ მომავალი წლიდან და მოსახლეობას მოვუწოდებ იაქტიუროს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახლიეიშვილი**: „ვინაიდან ამ თემაზე საუბარი, მინდა გითხრათ, რომ 2022 წელი იქნება საბინაო ინფრასტრუქტურის წელი, რაზეც დაიხარჯება 7500 ათასი ლარი. ჩვენ სამი წლის განმავლობაში აღარ დაგვრჩება ქუთაისში გადაუხურავი სახლი. ეს არ არის მხოლოდ ციფრები, ამის უკან დგას ოჯახები, რომლებსაც ჩვენ გავუუმჯობესებთ პირობებს. ეს არის ჩვენი დაპირება, რომელსაც პირნათლად შევასრულებთ.“

ზემოაღნიშნულ საკითხზე საკრებულოს წევრთა მიერ სვა მოსაზრებები აღარ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ბატონები: კ.გურული, გ.მანაგაძე, დ.ბახტაძე, კ.გაბუნია რ.ქვაჩაკიძე, ქალბატონი მ.სიმონიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 20 წევრი, წინააღმდეგი: 6 წევრი, ბატონები: ბ.ბრეგაძე, გ.კილაძე, ლ.შალამბერიძე, ქალბატონები: ხ.არველაძე, დ.ფხაკაძე, ნ.ბიბილეიშვილი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 3-მა წევრმა, ბატონებმა: გ.შუმანიამ, თ.მესხმა, ქალბატონმა ქ.ხურციძემ) **და ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის, ჯონდო არაბიძის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის **N3 დადგენილების** პროექტში.

(„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამების განსახორციელებლად თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამებით განსაზღვრული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 თებერვლის N41 დადგენილებაში ცვლილების

შეტანის თაობაზე“ დადგენილება N3 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-7 საკითხის განხილვისა და კენჭისყრის დასრულების შემდეგ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია შემოვიდა წინადადებით, მიმდინარე სხდომაზე 10 წუთით, შესვენების გამოაცხადების თაობაზე.

ზემოაღნიშნული წინადადების შესახებ, სხვა მოსაზრება არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ გამოაცხადა შესვენება 10 წუთით.

შესვენების დასრულების შემდეგ, გაგრძელდა საკრებულოს მე-2 სხდომის მუშაობა.

სხდომაზე გამოვიდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი კ.გაბუნია (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ბატონო ირაკლი, ძალიან უხერხული მდგომარეობაა ბატონ ბექასთან მიმართებაში, მამის ბოლო პანაშვიდი აქვს და ონლაინში არის ჩართული სხდომაზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ეს არის ბატონი ბექას გადაწყვეტილება და მას ამ უფლებას ვერ ჩამოვართმევ. მინდა მადლობა ვუთხრა და კიდევ ერთხელ მივუსამძიმრო.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია (17 სთ. და 30 წუთი) შემოვიდა წინადადებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმდინარე სხდომის მუშაობის 21 საათამდე გაგრძელების თობაზე.

ზემოაღნიშნულ წინადადებასთან დაკავშირებით, საკრებულოს წევრთა მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ამის შემდეგ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმდინარე სხდომის მუშაობის 21 საათამდე გაგრძელების თობაზე. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ბატონები: კ.გურული, გ.შუმანია, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, ქალბატონები: დ.ფხაკაძე, ა.კობრეიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 11-მა წევრმა, ბატონებმა: გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, რ.ქვაჩაკიძემ, თ.მესხმა, ბ.ბრეგაძემ, კ.გაბუნიაძემ, ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ქ.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, ე.არჩაიამ, ნ.ჩიკვაშვილმა), **და ა ა დ გ ი ნ ე ს :**

საკრებულოს მიმდინარე, 2021 წლის 29 დეკემბრის მე-2 სხდომის მუშაობა გაგრძელდეს 2021 წლის 29 დეკემბრის 21 საათამდე.

კენჭისყრის დასრულების შემდეგ, **განცხადება** გააკეთა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ, ბატონმა **გ.შუშანიამ**: „ბატონო ირაკლი, ბევრი ვისაუბრეთ კოვიდ რეგულაციებზე და როგორც ვიცი, რამდენიმე წუთის წინ, ბატონ პეტრეს, რომელიც იჯდა სხდომაზე, დაუდასტურდა კოვიდი, ამიტომ, ჩვენ ყველანი უნდა გადავიდეთ თვითიზოლაციაში, ვინაიდან, არსებობს კოვიდის გავრცელების საფრთხე, როგორც ამას ითვალისწინებს კანონი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ძალიან გთხოვთ, ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით ადგილიდან ნუ იქნება რეპლიკები. ხელის აწევით ვითხოვთ სიტყვა და მე როგორც საკრებულოს თავმჯდომარე, მოგცემთ ამის საშუალებას. ბატონო გიგა, საკრებულოს აპარატის თანამშრომლებს, საკრებულოს დეპუტატებს გვაქვს ჩატარებული კოვიდ ტესტირება 24 საათის განმავლობაში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუშანიამ**: „რამდენიმე წუთის წინ, დაუდასტურდა ბატონ პეტრეს. არ არის საშიში, მასთან არავის ჰქონდა კომუნიკაცია? რამდენი ადამიანია რისკის ქვეშ. აიღეთ პასუხისმგებლობა და ამ დარბაზში თუ ვინმეს დაემართება კოვიდი, იქნება თქვენი პასუხისმგებლობა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ჩემი პასუხისმგებლობა არის სხდომის თავმჯდომარეობა. კოვიდი ვრცელდება ჰაერწვეთოვანი გზით. როდესაც მე ვსაუბრობ, იფრქვევა წვეთები, რომლებიც შეიცავს ვირუსს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუშანია**: „ჩამოთვალეთ ის ადამიანები, რომლებთანაც ჰქონდა ბატონ პეტრეს კომუნიკაცია და მერე გეტყვით, ჩვენ თუ გვექონდა ამ ადამიანებთან კომუნიკაცია. რატომ უნდა გავხდეთ ინფექციის წყარო?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.კოსტავა** (პარტია „ქართული ოცნება“): „გავაკეთებ ძალიან მოკლე კომენტარს. კოვიდის გადაცემა ადამიანიდან ადამიანზე ხდება მინიმუმ 15 წუთის კომუნიკაციის შემდეგ. პირბადის გარეშე, დაუშვებელია კონტაქტი. თქვენ, ბატონო გიგა, არღვევთ წესებს და მთელი სხდომის მსვლელობის დროს, ხართ პირბადის გარეშე. მეც არ ვიცი, თქვენ ამ დროისათვის ხართ თუ არა კოვიდინფიცირებული.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუშანია**: „ამიტომ მოგიწოდებთ, გადავდოთ სხდომა და გავარკვიოთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.კოსტავა** (პარტია „ქართული ოცნება“): „ჩვენ გარკვეული გვაქვს ბატონო გიგა. ყველას, ვინც ახლა აქ ვიმყოფებით, გვაქვს კოვიდ ტესტი ჩატარებული 24 საათის განმავლობაში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუშანია**: „დღეს დაუდასტურდა ადამიანს და გუშინ გაკეთებულ ტესტს რა აზრი აქვს. მეც მაქვს ჩატარებული 20 დეკემბერს, აცრილიც ვარ და ბუსტერ დოზაც მაქვს გაკეთებული.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.კოსტავა** (პარტია „ქართული ოცნება“): „ყველას მოვუწოდებ, საქმეზე ვიყოთ ორიენტირებული და შევამციროთ შენობაში, დახურულ სივრცეში ყოფნის დრო. გავაგრძელოთ სხდომა და სერიოზულად მივუდგეთ საკითხებს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუშანია**: „რას ამბობთ, გუშინ

ტესტი ჩაიტარეთ და ინფიცირებული ადამიანი დღეს გვყავს აგერ სხდომაზე. გადაატრიალოთ გინდათ მედიცინა? ერთი ნოუჰაუ გვაქვს დღეს და გინდათ კიდევ ახალი ნოუჰაუ კოვიდთან ბრძოლაში?”

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.ჩიხლაძე** (პარტია „ქართული ოცნება“): „აუდიტორია რომ არ შევიდეს შეცდომაში, ექიმები სხედხართ და უმრავლესობამ, არა ექიმებმაც კი იცით, რომ დიაგნოსტიკიდან 72 საათი, დიაგნოსტირებული ადამიანები საშიშები არ არიან. ჩვენ, გუშინ ყველა გავიტესტეთ და არ ვართ ინფიცირებულები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუშანია**: „ანუ, ჩვენ, ვინც არ გავტესტილვართ, სულერთია მოვკვდებით თუ არა? როდესაც ჩემს მეუღლეს დაუდასტურდა კოვიდი, მეც დავიტესტე და სამი დღე ვიყავი იზოლაციაში, რადგან მითხრეს, რომ ეს ტესტი არ არის შესაბამისი და სამი დღეს შემდეგ ისევ გამიკეთეს ტესტი, რათა რეალური პასუხი მიმეღო. ანუ, მე მატყუებდით და ორჯერ რომ გამიკეთეთ ტესტი, ვიღაცამ ფული იშოვა? სახელმწიფო ჩემი და თქვენი ჯიბიდან არ იხდის ამ ფულს? რასაც თქვენ მიხსნით, ჯანდაცვის კონტროლის საიტზე წერია. რას ერჩით თანამშრომლებს, ვინც არ დაგიტესტავთ. მე, ორი წელი, როგორც კანონმორჩილი ადამიანი, ვაკეთებ იმას, რასაც მეუბნებით და მატყუებდით?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.სიმონიძე** (პარტია „ქართული ოცნება“): „ჩვენ სხდომაზე გვყავს ორი კოვიდ ცენტრის ხელმძღვანელი. მე მკერავი ვარ და თქვენ ეკონომისტი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია**: „ჩემი პასუხისმგებლობის ფარგლებში, იმ რეგულაციებში, რომელიც ასახულია მთავრობის დადგენილებაში, ბატონი პეტრეს კონტაქტები დადგინდება, კონტაქტი გადავა იზოლაციაში თუ მე ან თქვენ ვიქნებით კონტაქტი, გადავალთ იზოლაციაში და დავტოვებთ სხდომას. ყველაზე ცუდი არის ის, რომ დღეს, ჩვენ, საზოგადოებას ვაჩვენებთ ამას. მარტივად გიპასუხებთ, კონტაქტი დადგინდება და თუ ირაკლი შენგელია იქნება კონტაქტი, გადავალ იზოლაციაში. კონტაქტიდან ინკუბაციის პერიოდი მაქვს სამი დღე მაშინ, როდესაც ვარ ინფექციის

გადამტანი, მანამ, საზოგადოებისთვის არ ვარ საშიში, იმიტომ, რომ გუშინ მაქვს კოვიდ ტესტი გაკეთებული. დავიცვათ რეგულაციები, დავიცვათ წესები და შევამციროთ მინიმუმამდე ინფიცირების საშიშროება.“

მ ო ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-8 საკითხის - „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის N167 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე დადგენილების პროექტი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (გასწორდა დადგენილების პროექტის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის (ქალაქის კეთილმოწყობა) „ე“ ქვეპუნქტის ქვეპუნქტების დანომვრაში დაშვებული შეცდომები, გამომდინარე აქედან, თავიდან გადაინომრა აღნიშნული ქვეპუნქტი; „ვ“ ქვეპუნქტში სიტყვა: „ქვეპროგრამა“, შეიცვალა სიტყვით: „პროგრამა“; „ვ.ბ“ ქვეპუნქტი გადაინომრა „ზ“ ქვეპუნქტად, ხოლო „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტები - შესაბამისად, „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებად; მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში სიტყვა: „ქვეპროგრამა“, შეიცვალა სიტყვით: „პროგრამა“; დადგენილების პროექტის მე-2 მუხლში შეიცვალა ამ აქტის ამოქმედების დრო, აქტის ამოქმედების ვადად ჩაიწერა 2021 წლის 29 დეკემბერი; დადგენილების პროექტის ტექსტობრივ ნაწილში გასწორდა სტილისტური ხასიათის ხარვეზები), ცვლილებებით, ნაწარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა დ.ნიშნიანიძემ.

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ზემოაღნიშნული პროექტის შესახებ დაისვა შეკითხვა, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ახლა ბატონო დავით, თქვენ საბიუჯეტო ცვლილებაზე არ საუბრობთ? რამდენიმე წუთის წინ რომ შემეკამათეთ, ცვლილებები არ შეგვაქვსო?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის

ხელმძღვანელი, ბატონი **დ.ნიშნიანიძე**: „რა ცვლილება ვახსენეთ თუ მიაქციეთ ყურადღება? შემცირდა თავად მთავრობის განკარგულებაში არსებულ ღონისძიებებში გამოყოფილი რესურსები. მთავრობის განკარგულებაში მოხდა ცვლილების შეტანა და ეს გამოთავისუფლებული ეკონომიები მიიმართა სხვა მუნიციპალიტეტებისკენ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მარტივად გეტყვით ბატონო ბესო, ფაქტებს ვერ მოვარგებთ გეგმებს და სწორედ ამაზეა მსჯელობა. დამატებით შესრულდა გარკვეული მუხლები შემოსავლების ნაწილში, ამიტომ, ეს პროცესები აბალანსებს ერთმანეთს როგორც ცოცხალი ორგანიზმი.“

დღის წესრიგის მე-8 საკითხზე საკრებულოს წევრთა მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მერვე საკითხთან დაკავშირებით, გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 32-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ბატონები: კ.გურული, გ.შუშანია, დ.ბახტაძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 20 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 12-მა წევრმა, ბატონებმა: ლ.შალამბერიძემ, გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძემ, თ.მესხმა, ბ.ბრეგაძემ, ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ქ.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, დ.ფხაკაძემ, ა.კოხრეიძემ), **და ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დღის წესრიგის მერვე საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელის. დავით ნიშნიანიძის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებების გათვალისწინებით.

ცვლილებები იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის **N4 დადგენილების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის N167 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილება N4 ოქმს თან ერთვის)

მ ო ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მეცხრე საკითხის - „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე, თავდაპირველად, მოხსენებით გამოვიდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „გადავდივართ დღის წესრიგის იმ მნიშვნელოვან საკითხზე, რის გამოც, დღეს დუღილის ტემპერატურა საკმაოდ მაღალია. მე, როგორც უფლებამოსილი პირი, ვისაუბრებ ამ საკითხის ირგვლივ. ჩვენ უნდა დავიწყოთ თავიდან. ყველაზე მთავარია ის, რომ დღევანდელი მოცემულობით ბიუჯეტის პროექტის რესურსი, ფისკალური ნაწილი არის საკმაოდ მნიშვნელოვანი და დღეის მონაცემებით, ის შეადგენს დაახლოებით 89 მილიონ ლარს. პრიორიტეტები, რომლებიც ამ ბიუჯეტშია გაწერილი, ემსახურება იმ საჭიროებებს, რომელიც ჩვენ თანამემამულეებს, მოქალაქებს გააჩნია. იმ პროცესებს, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა მიმართულებების მხარდაჭერას და პოლიტიკის გაძლიერებას სოციალური, ჯანდაცვითი, ინფრასტრუქტურის, კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის მიმართულებებით. აგრეთვე, ამ ბიუჯეტის ნაწილი, რასაც ხარჯვითი ნაწილი ჰქვია, ემსახურება, რა თქმა უნდა, ქალაქის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. მინდა აღვნიშნო, რომ ამ პრიორიტეტულ ნაწილში ხელშესახები არის ის, რომ ბიუჯეტის პროექტი ეხება თითოეულ ადამიანს და მეტად მგრძნობიარე გახდა და ბიუჯეტის პროექტის მუხლებში აისახა ის საჭიროებები, რომლებიც თითოეულ მოქალაქეს გააჩნია. ჩვენ, რამდენიმე მნიშვნელოვანი, სტრატეგიული დოკუმენტი გაგვაჩნია მუნიციპალურ დონეზე, რომლის მიზნებიც უნდა აისახოს ბიუჯეტის პროექტში. ბიუჯეტის პროექტი უნდა ემსახურებოდეს იმ მიზნებს, რომელიც ამ სტრატეგიითაა გაწერილი. მნიშვნელოვანია, ასევე, 2022 წელი გვქონდეს მოსამზადებელი, როდესაც ჩვენ მივიღებთ ქალაქის განვითარების გენერალური გეგმის დასრულებულ ვერსიას. ჩვენ კონცეფციის ნაწილი დასრულებული გვაქვს, როდესაც ეს საკითხი გვექნება

გადაწყვეტილი, მაშინ ბევრ რამეს დაესმება წერტილი. მათ შორის, ბევრ უადგილო, სხვადასხვა ფორმის არგუმენტაციას. საკრებულო, როგორც წარმომადგენლობითი რგოლი, მაქსიმუმს გააკეთებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მაქსიმალურად იქნება პასუხისმგებელი ბიუჯეტის ხარჯვისა, თუ შემოსავლის ნაწილის კონტროლზე. საკრებულო გამოიყენებს ყველა არსებულ ბერკეტს, რომელიც გააჩნია. მათ შორის, გთავაზობთ იმ ფორმატის გამოყენებას, რომელიც თქვენ, როგორც ფრაქციებს, ოპოზიციური ნაწილის წარმომადგენლებს, საკრებულოს თითოეულ წევრს გააჩნიათ და შესაბამისად, სადებუტატო კითხვა იქნება, მოსაზრება თუ ასე შემდეგ, შეგიძლიათ წარმოადგინოთ. ამ პროცესებს ყოველთვის ექნება მხარდაჭერა. მინდა ვთხოვო ბატონ დავითს, მერის მიერ, ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენაზე განსაზღვრულ პასუხისმგებელ პირს, წარმოგიდგინოს ბიუჯეტის პროექტი როგორც შემოსულობების, ისე გადასახდელების მიხედვით. აღნიშნულის მოსმენის დასრულების შემდეგ გადავიდეთ განხილვაზე, შემდეგ დადგენილების პროექტის N1 დანართის ცალკეულ მუხლებს დოკუმენტში წარმოდგენილი ფორმულირებით დავაყენებთ კენჭისყრაზე, ამის შემდეგ, კენჭს ვუყრით ბიუჯეტის პროექტის მეორე დანართს, ბოლოს, წარმოგიდგენთ „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტს, დავასრულებთ რა აღნიშნულ საკითხზე დადგენიების პროექტის მთლიან განხილვას, ამის შემდეგ, ერთიანად, დანართებთან ერთად, ვუყრით კენჭს დადგენილების პროექტს.“

ზემოაღნიშნულ საკითხზე, სხდომაზე გამოვიდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალიაშვილი**: „მანამ, სანამ ბატონი დავითი წარადგენს ბიუჯეტის პროექტს, მეც მინდა ორიოდ სიტყვით აღვნიშნო, რომ ნამდვილად უპრეცედენტო მატებაა მომავალი წლის ბიუჯეტში. ეს არის 20 მილიონზე მეტი და მოგეხსენებათ, ეს არ არის ბიუჯეტის საბოლოო მოცემულობა. კიდევ დაზუსტდება ბიუჯეტი იანვარში და ჩვენ ველოდებით ახალ შემოსულობებს. ეს არის არა ერთი საგრანტო კონკურსი, რომელშიც წელს აქტიურად მივიღეთ მონაწილეობა და რა თქმა უნდა, ჩვენ გვექნება უფრო მეტი შემოსავლები და შესაბამისად, მეტი ბიუჯეტი, ვიდრე არის დღევანდელი მოცემულობით. ალბათ, ყველა დამეთანხმებით როგორც პოზიცია, ისე ოპოზიციაც, რომ ეს არის შთამბეჭდავი ზრდა, როგორც ჩვენს ქალაქს აქამდე არ ჰქონია. ამიტომ მე, რა თქმა უნდა,

დავეთანხმები ბატონ ირაკლის, ჩვენ ერთად ვხარჯოთ ეს თანხა, რათა ქალაქს მეტი სიკეთე და კეთილდღეობა მოვუტანოთ. არავის, აქ კითხვის დასმის არ ეშინია და პასუხს არ გაუბრძის. ეს ბიუჯეტი ჩემი და ჩემი გუნდის მიერაა მომზადებული და გათვლილია ჩვენი ქალაქის კეთილდღეობისათვის ზრუნვაზე. მზად ვართ, ნებისმიერ დასმულ კითხვას გავცეთ პასუხი, ოღონდ, იმ ფორმატში, რომელსაც საკრებულო ითვალისწინებს და რასაც ადამიანური და ზრდილობიანი ურთიერთობები ითვალისწინებს. აქედან გამომდინარე, ჩვენ მზად ვართ წარმოვადგინოთ ბიუჯეტი და მჯერა ის იქნება ქუთაისისათვის უკეთესი ხვალისდელი დღის მომტანი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **დ.ნიშნაიანიძემ** სხდომაზე პრეზენტაცია გააკეთა 2022 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით. მან კონკრეტულად, თვალსაჩინოებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების საშუალოვადიანი პროტებების დოკუმენტი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კაპიტალური ბიუჯეტი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ბიუჯეტი, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის N1 და N2 დანართებით განსაზღვრული 2022 წლის **ბიუჯეტის მაჩვენებლები, კერძოდ:** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი, ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება, ბიუჯეტის შემოსავლები, ბიუჯეტის გადასახადები, ბიუჯეტის გრანტები, ბიუჯეტის სხვა შემოსავლები, ბიუჯეტის ხარჯები, ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება, ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია, ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება, ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო, ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება; **პრიორიტეტების მიხედვით** წარმოაჩინა ინფრატრუქტურის, განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროს განვითარების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოცურუნველყოფის, ქალაქის ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების პროგრამები, ქვეპროგრამები; გაანალიზა ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები; მიმოიხილა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მარეგულირებელი ნორმები; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების აღწერა, მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის N1 და N2 დანართები, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების საშუალოვადიანი პროგნოზების დოკუმენტი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კაპიტალური ბიუჯეტისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ბიუჯეტის დანართები ოქმს თან ერთვის“)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **აკობხრიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „აქ საუბარია 130 ათას ლარზე და სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ყოფითი პირობების გაუმჯობესებასა და ხელშეწყობაზე. როდესაც ამას ითვალისწინებდით ბიუჯეტში, მაინტერესებს, დაუძახეთ თუ არა მაჟორიტარ დეპუტატებს, რომლებსაც აღწერილი აქვთ ვის რა უჭირს, რა მგომარეობა აქვს და გაითვალისწინეთ თუ არა ეს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.ქარქაშაძე**: „აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს კომუნალური გადასახადების გადახდას იმ ოჯახებისათვის, რომლებიც ირიცხებიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მათი ქულა არის 70000-ს ქვევით“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **აკობხრიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ეს 70000 ქულა როგორ განისაზღვრება?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.ქარქაშაძე**: „ამას ადგენს სოციალური სააგენტო, რომელიც არის ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული ორგანო, აქვს თავისი პროტოკოლი, რომლითაც განსაზღვრავს სოციალურად დაუცველის ქულას. სოციალური სააგენტოს საქმიანობის განსაზღვრებას მე ნუ მომთხოვთ. ჩვენ ვიღებთ ბაზას, რომელშიც არის სოციალურად დაუცველი ადამიანების სია და შესაბამისად ქულა“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ა.კობხრიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ჩემი აზრით, მაინც გადასახედია. ჭუმბურიძის ქუჩაზე ვიყავი გაჭირვებულ ოჯახში, რომელმაც ვერ მიიღო ეს ქულა, ვინაიდან, ჰქონდათ სახლი, მაცივარი, ტელევიზორი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.ქარქაშაძე**: „მინდა გითხრათ, რომ მაცივარი და ტელევიზორი ქულაზე გავლენას არ ახდენს. აქ შრომისუნარიანობის საკითხი არის პრიორიტეტი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ა.კობხრიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ამ ოჯახში არის ინვალიდი შვილი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.ქარქაშაძე**: „მე ვერ გამოვდგები ამ საკითხის ადვოკატად, ვინაიდან, ეს არ არის ჩემი კომპეტენცია, თუმცა, მოგახსენებთ, რომ ის სტანდარტი, რომელიც არის დადგენილი და რომლითაც ითვლება ფორმულები, ყველასთვის არის საერთო. ეს არის მარტივი ფორმულა და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ პრიორიტეტი არის შრომისუნარიანობა. ოჯახის ერთი წევრი შეიძლება იყოს შშმ პირი, მაგრამ ოჯახის სხვა წევრი იყოს შრომისუნარიანი. ჩვენ ვხელმძღვანელობთ მინიჭებული ქულებით. ჩვენი კომპეტენცია არაა განვსაზღვროთ რამდენად სწორადაა მინიჭებული ქულა. ამას ჩვენ ნუ მოგვთხოვთ, ამისთვის არსებობს ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალიაშვილი**: „ინფორმაციისათვის დავამატებ, რომ ჩვენ, დავაკმაყოფილეთ ყველა იმ ადამიანის მოთხოვნა სახურავის გადახურვასთან დაკავშირებით, რომლებსაც ჰქონდათ 65000 ქულამდე. ეს ქულაც მოწოდებულია სააგენტოს მიერ და ჩვენ ამაში ვერ ვერევი, ვინაიდან, არ არის ჩვენი კომპეტენცია. ჩვენ ვცდილობთ, გავზარდოთ 100 000 ქულამდე, ვინც არის სოციალურად დაუცველთა ბაზაში და საჭიროებს სახლის გადახურვას, მათ გადავუხუროთ ჩვენი ხარჯებით. რაც შეეხება თქვენს კითხვას ქულებთან დაკავშირებით, ეს არის სააგენტოს თემა, ექსპერტებთან ერთად, რომლებიც საზღვრავენ ვის ენიჭება და ვის ვერ ენიჭება ეს ქულა. თქვენ შეგიძლიათ

შუამდგომლობით მიმართოთ ქალბატონ ნინო ჭილაძეს, როგორც „ნიკეას“ ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა და თხოვოთ გადახედილ იქნეს კონკრეტულად რომელიმე ადამიანის ქულების რაოდენობა. თუ არ ვცდები, 6 თვეში ერთხელ ხდება ქულების გადახედვა და შეუძლიათ მივიდნენ და გადახედონ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ა.კობხრიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მე თქვენთან და მერიასთან ურთიერთობა მერჩია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალიაშვილი**: „მაშინ, თქვენ შეგიძლიათ მოგვმართოთ ჩვენ და ჩვენ, თქვენი მოთხოვნის საფუძველზე, გადავაგზავნით ქალბატონ ნინოსთან შუამდგომლობას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ა.კობხრიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ჩვენ გვაქვს ვიდეომასალები ლტოლვილებზეც და კარგი იქნებოდა აქ იყვნენ თქვენი თანაშემწეები, რომლებიც კონკრეტულად ჩაიწერდნენ ამ ადამიანებს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალიაშვილი**: „დამერწმუნეთ ქალბატონო ანა, ჩვენ თქვენზე მეტი ინფორმაცია გვაქვს, ვინაიდან, დიდი ხანია ვმუშაობთ ამ საკითხებზე, მაგრამ ყველაფერი ერთად ვერ კეთდება. ყველაფერს გავაკეთებთ ნაბიჯ-ნაბიჯ, მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ა.კობხრიძე**: „მანამდეც უნდა გაგეკეთებინათ. მე როდესაც რამეს ვერ ვაკეთებ, ვიხევ უკან და ვადიარებ, რომ ვერ გავაკეთებ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **დ.მხეიძე**: „ბატონმა სოსომ ამომწურავად გაგვცა პასუხი, რომ ქულების დადგენა საკმაოდ რთული პროცესია, მაგრამ რამდენიმე თვეში ერთხელ ხდება ქულების გადახედვა. პარლამენტის დონეზე იყო საუბარი იმაზე, რომ მომხდარიყო უფლების დელეგირება და

თვითმმართველობას დავალებოდა, რადგან მუნიციპალიტეტის მერებმა და მაჟორიტარმა დეპუტატებმა უფრო მეტი იციან იმ ადამიანებზე. “

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ა.კობხრიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ყველამ ვიცით რა მდგომარეობაში არიან პენსიონერები. შემოსულია უამრავი სააფთიაქო ფირმა: „ავერსი“, „პსპ“ და ასე შემდეგ და ხედავთ, რომ წამლების ფასი კატასტროფულად იზრდება. შეგიძლია თუ არა, როგორც ქალაქის მერმა, გამოიყენოთ თქვენი გავლენა და ეს გააკონტროლოთ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალიაშვილი**: „ათეული წლების დიქტატურას და კომუნიზმს ვებრძვით, რომ ბიზნესში არ უნდა ჩავერიოთ და მე ახლა კომპანიას განვუსაზღვრო ჩვენს ქალაქში იმუშაოს თუ არა? მე მაგას ვერ გავაკეთებ, ვინაიდან, ეს იქნება დემოკრატიული პრინციპების დარღვევა, მაგრამ სწორედ იმ ბიუჯეტში, რომელიც ახლა ბატონმა დავითმა გაგაცნოთ, არის ის მატება, სადაც წერია, რამდენ ადამიანს ვეხმარებით წამლებით, რამდენ ონკო პაციენტს ვეხმარებით შესაბამისი პროცედურებით. 300 ათას ლარამდე გაიზარდა კოვიდ პანდემიის შედეგად ჩასატარებელი მეორადი კვლევების ხარჯები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ა.კობხრიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ეს მაინც ერთჯერადია. ყველა ქალაქის მერმა უნდა განსაზღვროს რა აწყობს მის მოსახლეობას და მიმართოს ცენტრალურ მთავრობას. ასე ააშენა ქვეყანა ხოსე ბუენდიამ. ხოსე ბუენდიები სჭირდება ქვეყანას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.ქარქაშაძე**: „ქალბატონო ანა, პირველ რიგში, მოგახსენებთ იმ საკითხთან დაკავშირებით თუ რამდენად აქვს ქალაქის მერს რომელიმე ბიზნესისათვის ოპერირების აკრძალვის, ან არაკრძალვის უფლება. დარწმუნებული ვარ, თქვენ გყავთ ეკონომისტი კოლეგები, სამწუხაროდ, ბატონმა გრიგოლმა დატოვა სხდომათა დარბაზი, თორემ გეტყოდათ, რომ ამის არანაირი უფლება სახელმწიფო რგოლს არ გააჩნია. რაც შეეხება საბაზრო ფასებს, მედიკამენტები იქნება თუ სხვა, ეს შეიძლება იყოს განხილვის საგანი, მაღალია თუ დაბალი, მაგრამ ამას არეგულირებს ბაზარი, თუმცა, დამატებითი

ინფორმაციისთვის გეტყვით, რომ რამდენიმე ხნის წინ, პრემიერს ჰქონდა შეხვედრა მარეგულირებელთან და მის მიერ გაცემულია დავალება, სადაც მედიკამენტების ფასები უნდა დარეგულირდეს. რაც შეეხება დანარჩენს, არის სახელმწიფო პროგრამა, სადაც არსებობს სამკურნალო წამლების ჩამონათვალი, რომლებიდანაც ზოგი სრულიად უფასოდ და ზოგიც შეღავათიან ფასში ეკუთვნის ქრონიკული დაავადების მატარებელს. დამატებით, ამ ბიუჯეტშიც არის ასახული მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა, რომელიც 2021 წელს იყო 240 ათასი ლარი და ახლა ბიუჯეტი არის 310 ათასი ლარი. ამ ეტაპზე ერთი ბენეფიციარის განცხადებას ვაკმაყოფილებთ 150 ლარით, მაგრამ ვგეგმავთ, რომ იანვრის დაზუსტებაზე, გავზარდოთ 200 ლარამდე. ეს არის უშუალოდ ერთი კონკრეტული პროგრამა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **აკოხრიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „თქვენი პრემიერ-მინისტრი დაპირდა ხალხს, რომ წამლები ძალიან ძვირია, უჭირს ხალხს ამის გადახდა და ეს საკითხი უნდა მოწესრიგდესო, ჩვენც ველოდებით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.ქარქაშაძე**: „ეს არის ერთი კონკრეტული პროგრამა, ასევე, არის გადაუდებელი რეაგირების საჭიროებისა და სამედიცინო დახმარების პროგრამები, მატერიალური დახმარების, უშუალოდ მერიის სარეზერვო ფონდი, რომელიც განსაკუთრებულ შემთხვევებს აკმაყოფილებს ინდივიდუალურად.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია**: „გთხოვთ, გავაკეთოთ მოკლე კომენტარები. მე მიჩვეული ვარ მორიგეობებსაც და 24 საათიანი პროცესის მართვასაც, მაგრამ უნდა ჩავჯდეთ რეგლამენტში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „თუ შეიძლება ბატონო ირაკლი, დავკონკრეტდეთ. თქვენ ბრძანეთ, რომ ბიუჯეტს განვიხილავთ მუხლობრივად, ანუ მინდა დავაზუსტო, მაგალითად, შემოსავლით ნაწილში მუხლების მიხედვით გავყვებით შესაბამისობას და დამტკიცებას თუ თავების მიხედვითაა საუბარი, მათ

შორის ორგანიზაციულ ნაწილზე, პროგრამულზე და პრიორიტეტების დოკუმენტზე. თუ შეიძლება დამიზუსტოთ და ამის მიხედვით დავსვამ კითხვებს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „წესით და რიგით, მიუხედავად ორგანულ კანონში არსებული ჩანაწერის გაუქმებისა, საკრებულოს რეგლამენტით გვაქვს მოცემულობა, რომ ბიუჯეტის პროექტს კენჭი ვუყაროთ მუხლობრივად და არა თავების მიხედვით. წარმოგიდგინთ თავს შესაბამისი მუხლებით და თითოეულ მუხლს ვუყრით კენჭს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი ბ.ბრეგაძე: (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „პირველ რიგში, მინდა გულისწყვეტა გამოვხატო და მე დარწმუნებული ვარ, ეს არ იქნება მარტო ჩემი და ჩემი თანამოაზრეების გულისწყვეტა. ბიუჯეტში, რომელსაც ჩვენ დღეს ვიღებთ და რომელსაც უნდა ვუყაროთ კენჭი, სამწუხაროდ, არცერთ საკრებულოს წევრს არ ჰქონია საშუალება თავისი წინადადება დაეფიქსირებინა და შესაბამისად, თუნდაც მისი წინასაარჩევნო დაპირება ჩაესვა. ჩვენ, როდესაც მოვედით, ბიუჯეტი უკვე დაგვხვდა უკან გაბრუნებული შენიშვნებით და შესაბამისად, მეორედ შემოსული, რომელშიც ჩვენ ვერ შევიტანდით შესაბამის ცვლილებებს და ამ სახით მოგვიწია ამ ბიუჯეტის გავლა. განხილვა არა, გავლა. საუბარი არ მაქვს მარტო ნაციონალურ მოძრაობაზე, საუბარი მაქვს ოცნების წევრებზე, გახარიას წარმომადგენლებზე. აქ მსხდომი დეპუტატების ვერც ერთი წინა საარჩევნო დაპირება ვერ აისახებოდა ამ ბიუჯეტში. ბატონო დავით, გთხოვთ, ჩართოთ პირველი გრაფიკული გამოსახულება. ხელში მიჭირავს საბიუჯეტო კოდექსი და შესაბამისად, ფინანსთა მინისტრის ინსტრუქცია, ბრძანება N385, რომლის მიხედვითაც ხდება ბიუჯეტის მეთოდოლოგია და დაგეგმვა. თქვენ ეხლა წარმოადგინეთ 2022 წლის ბიუჯეტი?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი დ.ნიშნაიძე: „დიახ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი ბ.ბრეგაძე: (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი მიზანი არ არის ამ ბიუჯეტის ჩაშლა, ან დესტრუქცია. ჩვენი მიზანია საზოგადოებას,

თანამოქალაქეებს გავაგებინოთ რა ბიუჯეტი გვაქვს და რა სიკეთეებს აკეთებს ქალაქი მათთვის და რა პერსპექტივა შეიძლება იყოს ამ ქალაქში. ეს არის მიზანი და ამიტომ ნებისმიერი კითხვა, რომელსაც ჩემგან მოისმენთ, იქნება ამ მიმართულებით.

ამ დოკუმენტში, რომელიც ახლა მე ვითხარით, გარკვევით წერია, რომ საერთოდ არაფერ შუაშია 2012 წლიდან მოყოლებული თქვენ რა ციფრებიც გიწერიათ, იმიტომ, რომ არც ჩვენ ბიუჯეტში არაა 2012-დან მოყოლებული და თქვენ, ოცნების მთავრობის განხილვას თუ აწყობთ, ისიც გვითხარით. ამ კოდექსში და ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში, რომლის მიხედვითაც ხდება ბიუჯეტის შედგენა, გარკვევით წერია, რომ მინიმუმ სამი წელი უნდა იქნეს განხილული და საუბარია 2020, 2021 და 2022 წლებზე და პროექტების ნაწილში კიდევ მომავალი სამი წელი. აქ 2012 წელს ნაციონალურ მოძრაობასთან ხომ არ ადარებდით და რამის თქმა ხომ არ გინდოდათ. საერთოდ არაფერ შუაშია ეს რიცხვები და ტერმინები, რომელზეც ახლა გადავალთ, გთხოვთ გადავიდეთ მე-3 გრაფიკულ გამოსახულებაზე, შემოსავლების დამტკიცებული გეგმა 77876 ათასი, რომ გიწერიათ და რომ ამბობთ, რომ ბიუჯეტი გაიზარდა 25 მილიონით, რომელ ნაწილში გაზარდეთ თუ შეგიძლიათ გვითხარით, ბიუჯეტშიც შეგიძლიათ ნახოთ, პირველი თავის მე-3 მუხლის შემოსულობების ნაწილში დაფიქსირებული გაქვთ 71822 ათასი. შემოსავლები და არა შემოსულობები და აქ სად გაზარდეთ 29 მილიონით? 2020 წელში იყო 65 მილიონი, 2021 წელში 74 მილიონი და წელს გაქვთ 71 მილიონი. სად გაიზარდა 25 თუ 29 მილიონი, რომელსაც ამბობთ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **დ.ნიშნიანიძე**: „მე წარმოვადგინე შემოსულობებისა და გადასახდელების დიაგრამა და ახლა შემოსავლების ამ ორ ტერმინს შორის რა სხვაობაა მე და თქვენ კარგად უნდა ვიცოდეთ და არ უნდა ვკამათობდეთ. ეს არის ბიუჯეტის „აი, ია“, როგორც სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ბიუჯეტს შორის.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „შეგიძლიათ დააკონკრეტოთ? რათა ჩვენმა მოსახლეობამ გაიგოს სად გაიზარდა ბიუჯეტი 25 მილიონით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **დ.ნიშნიანიძე**: „თქვენ თუ იცით შემოსავლებს რა უნდა დაემატოს, რომ მივიღოთ შემოსულობები? მე გეტყვით, არაფინანსური აქტივების კლება, პრივატიზაცია და ფინანსური აქტივი. ამ ყველაფრის გათვალისწინებით ვიღებთ შემოსულობებს და რატომ ველოდებით შემოსავლების ნაწილში, როცა საბოლოოდ ბიუჯეტი მთავრდება შემოსულობებში?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ანუ, რაღაც მანიპულირებებს ხომ არ აკეთებთ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **დ.ნიშნიანიძე**: „რა მანიპულაციებს, თქვენ, რომ ფინანსთა მინისტრის ბრძანება ახსენეთ, სწორედ იმის მიხედვითაა ბიუჯეტი შედგენილი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ძალიან კარგი, თუ იმ ბრძანების მიხედვითაა, ჩვენ ამ დოკუმენტს კიდევ ბევრჯერ მოვუბრუნდებით. თუ ამის მიხედვითაა შედგენილი, წაგიკითხავთ კონკრეტულ მუხლებს, როგორ უნდა იყოს შედგენილი ბიუჯეტი. შემოსულობების ნაწილზე თუ ვსაუბროთ, ამავე მუხლში შემოსულობების ნაწილში გიწერიათ 2021 წელს 81093 ათასი, წელს გიწერიათ 76 მილიონი. სად გაიზარდა?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **დ.ნიშნიანიძე**: „ბიუჯეტი რეალურად იზრდება 29 მილიონით და თქვენი დონის ფინანსისტმა როგორ არ უნდა იცოდეს სხვაობა

დაზუსტებულ და დამტკიცებულ ბიუჯეტებს შორის. დამტკიცებული, რომ წინა წლის დაზუსტებულს არ უნდა შეადაროთ, ეს ელემენტარულია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „თავად დაიწყეთ საუბარი დამტკიცებულ და დაზუსტებულ ბიუჯეტზე. ამას წინ ხომ მეუბნებოდით, რომ დაზუსტებულ გეგმას არ სჭირდება ჩასმა და დამტკიცებულით შეგვიძლია შევადაროთ წინა წლების ანალიზით. ბატონო დავით, ფორმა, რითაც ხდება ამის შედარება, არის დაზუსტებული და არა დამტკიცებული ბიუჯეტი და დაზუსტებულით თქვენ ამ ბიუჯეტში ზრდა არ გაქვთ და ნუ ატყუებთ საზოგადოებას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.სიმონიძე** (პარტია „ქართული ოცნება“): „ხომ იცით ბატონო ბესო, რომ არ არის მასე?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „შემოსულობების ნაწილში, რომელზეც ჩვენ, საბიუჯეტო ნაწილში ვისაუბრეთ, რა ნაწილშიც გაქვთ ზრდა, კომისიაზე ყველამ მოისმინა და მიინდა იცოდეს საზოგადოებამაც, დამატებითი ღირებულების გადასახადში გვაქვს ზრდა 7 მილიონამდე. ეს გადასახადი არის არაპირდაპირი გადასახადი, რომელსაც ჩვენ ვიხდით, არის ფასნამატი, წარმოებული პროდუქციის ზევიდან ნამატი ფასი, რომელიც შესაბამისად განისაზღვრება 18%-ის ოდენობით, ვიხდით ბიუჯეტში. ამ გადასახადის ამ დონეზე გაზრდა შეიძლება ყოფილიყო სამი რამით განპირობებული. 1-ლი: ფასების ზრდა, ფასებმა მოიმატა და შესაბამისად, ამ გადასახადის მოცულობა გაიზარდა; მე-2: ადმინისტრირება, ანუ გაუმჯობესდა ამოღება ამ გადასახადისა და იმის ხარჯზე გაიზარდა; მე-3, რაზეც ჩვენ ვსაუბრობდით, არის ეკონომიკის ზრდა. ამ სამი ფაქტორიდან მოსახლეობას თავად შეუძლია გააკეთოს დასკვნები, რომლის გამოა ეს გადასახადი მომატებული და რის ხარჯზე იზრდება ქუთაისის ბიუჯეტი. ფასებია გაზრდილი, ინფლაციაა ქვეყანაში და ეს არის ამ ბიუჯეტის პრობლემა. გთხოვთ მიპასუხოთ, რა კონკრეტულ ნიშნულზეა ეს ბიუჯეტი დაგეგმილი დოლართან მიმართებაში, რომელ კურსზეა დაგეგმილი?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **დ.ნიშნიანიძე**: „ამის ვალდებულება არა აქვს ადგილობრივ ბიუჯეტს. ამ გათვლას აკეთებს სახელმწიფო ბიუჯეტი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „თქვენ გათვლას არ აკეთებთ იმიტომ, რომ არ გაინტერესებთ იქნება თუ არა ქვეყანაში ინფლაცია შემოსავლით, ან ხარჯვით ნაწილზე? შემდეგი საკითხი რაზეც მინდა ვისაუბრო, არის ის, რომ თქვენ შემოსავლითი ნაწილი გაზრდილი გაქვთ. შეიძლება თქვენ არ ხართ საქმის კურსში და მე თქვენ კომპეტენციაში არ მეპარება ეჭვი, მაგრამ 2015, 2016, 2017 წლებში არც გამოთანაბრებითი ტრანსფერი და არც „დღგ“ ჩვენი არ იყო და საშემოსავლო გადასახადის ერთ-ერთი ქვესახეობა დაგვიტოვა ჩვენ ცენტრალურმა ბიუჯეტმა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **დ.ნიშნიანიძე**: „ძალიან კარგად ვიცი და საკუთარი თვალთაშუაშა მსჯელობა ნაწილი. გათანაბრებითი ტრანსფერი იყო, მაგრამ გაცილებით მცირე მოცულობით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „რომ აცხადებთ ბიუჯეტი გაზრდით შემოსავლით ნაწილში, დიახ, გაიზარდა სანქციების, ჯარიმებისა და საურავების ხარჯზე, უშუალოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევების ხარჯზე ნახევარი მილიონი ლარითაა გაზრდილი პატრულის ჯარიმები, ადმინისტრაციული სამართალდარღვევები რაც არის. მათ შორის, ის ადამიანები, რომლებიც სიტყვით გამოხატავენ საკუთარ აზრს და შემდეგ სასამართლოებში უჩივით და გადასახდელებს ახდენენ. ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი რაც იყო, შემოსავალი ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების უფლების გაცემისგან, წინა წელს გქონდათ 50 ათასი ლარი, კომისიის სხდომაზე ვისაუბრეთ ამაზე, მაგრამ მე მინდა ჩვენმა თანამოქალაქეებმა, ჩვენმა საზოგადოებამ იცოდეს, რომ ეს არასწორადაა გაკეთებული იურიდიულად. პარკინგსერვისის

ორგანიზაცია, რომელიც ამხელა შემოსავლებს ფაქტობრივად, ტყუილ ქვეშ კრებს და იძახის, რომ კრებს მოსაკრებელს, მოსაკრებელში კი წელს უწერია ნული, ერთი თეთრიც კი არ შემოდის. ეს არის პირდაპირ სისხლის სამართლის საქმე, ისევე, როგორც იჯარით მივეცით პარკინგსერვისს და იმ იჯარაზე არგადახდილი საფასურის გამო, ქვითრებს ვუწერთ. სამართალდარღვევას ვაფიქსირებთ მოსაკრებლის არგადახდის გამო და მილიონზე მეტია შემოსავალი ამ დაწესებულებიდან, 650 ათასიდან 700 ათასამდე ლარი შემოდის მარტო მოსაკრებელში, მოსაკრებელში რომ არ იგულისხმება და ორგანიზაციის ანგარიშზე რომ ჯდება ის შემოსავალი. 400 ათასი მარტო ჯარიმებში შემოგაქვთ, რომელიც აბსოლუტურად უკანონოა თავიდან ბოლომდე. გარდა ამისა, შემოსავლით ნაწილში არის ერთი მუხლი, რომელიც მინდა წავიკითხო და საზოგადოებამ თავად განსაჯოს. „შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან 400 ათასი ლარი“. ანუ, თქვენ წინასწარ იცით და დებთ ხელშეკრულებებს ისეთ ორგანიზაციებთან, რომელიც იცით, რომ დაარღვევს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამის გეგმა როგორ უნდა გქონდეთ და ჩაწეროთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალიაშვილი**: „ამის საშუალებას იძლევა მონაცემები. თქვენ ამტკიცებთ, რომ ეს ბიუჯეტი არ ვარგა, მაგრამ მოსახლეობა თავად ნახავს რა ვარგა და არ ვარგა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „უხერხულია, როცა შემოსავლით ნაწილზე ასეთი ტიპის დაგეგმვას აკეთებთ. „ხელშეკრულებების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლო“- ეს შეიძლება ჩაწერილი იყოს კლასიფიკაციის მუხლში შემოსავლით ნაწილში და ასეთი ტიპის შემოსავალი თუ შემოგივა იმ კონკრეტული მიმართულებით, შეგიძლია გეგმაც გაზარდო და შემოსავალიც დააფიქსირო, მაგრამ წლის დასაწყისში წერდე იმას, რომ ხელშეკრულებას არ შეასრულებენ, დაარღვევენ და აქედან შემოვა 400 ათასი, ცოტა უხერხულია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **დ.ნიშნიანიძე**: „თქვენი აზრით, რამდენი უნდა დაგვეწერა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „საერთოდ არ უნდა გქონდეთ ასეთი ტიპის დარღვევები, საქმეს კარგად რომ აკეთებდეთ. კიდევ ერთხელ იმ თანამშრომლების ღრმა პატივისცემით, რომლებიც ნამდვილად არიან თავიანთი საქმის პროფესიონალები და წლებია ეს ადამიანები ამ საქმეს აკეთებენ. მე იმას კი არ ვამბობ, რომ ეს ხდება ვინმეს არცოდნის გამო, ეს არის შეგნებულად გაკეთებული და რატომაა შეგნებულად გაკეთებული, ამას ხარჯვით ნაწილზე საუბრის დროს გეტყვით. კითხვა მაქვს ბატონ მერთან და არა ბატონ დავითთან. შემოსავლები რეალურად რის ხარჯზე გაზარდეთ 25 მილიონით?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალიაშვილი**: „ყველაფერი დოკუმენტებში წერია, ცოტა დრო დახარჯეთ და კარგად წაიკითხეთ. თუ გაგება გინდათ, გაიგებთ, ამის არანაირი პრობლემა არ გაქვთ, პროფესიონალი ხართ და პატივს გცემთ, მაგრამ რასაც ახლა აკეთებთ, ეს არის „შოუს“ ნაწილი. ბოდიშს ვიხდი საზოგადოებასთან, მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს საკრებულოს სხდომაზე. ძალიან კარგად გესმით, მაგრამ გიჭირთ იმის აღიარება, რომ ეს ბიუჯეტი მართლაც სხვანაირია და ბევრად წინწაწეული ჩვენი ქალაქის ხვალისდელი დღისათვის. არ ვაპირებ კონკრეტულ საკითებზე საუბარს, ყველაფერი კარგად წერია. თქვენ სწორად შეაქეთ ჩვენი თანამშრომლები, ისინი ნამდვილად პროფესიონალები არიან. თქვენ კომისიის სხდომაზე იყავით და გქონდათ საშუალება კითხვით მიგემართათ. ყველა პროცედურა დაცულია. დანარჩენ თემებზე კითხვები თუ იქნება შემდეგში გიპასუხებთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მადლობა ბატონო სოსო.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია**: „მეც გიპასუხებთ ბატონო ბესო. ჩვენ გვქონდა დისკუსია ამ პროცესთან მიმართებაში, თქვენ გინდათ, ხაზი გაუსვათ იმ ფაქტს, რომ ბიუჯეტი

იზრდება მაშინ, როცა იზრდება ფასები. თქვენ აღნიშნეთ, რომ ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილის ზრდას რამდენიმე ფაქტორი წარმოადგენს. ეკონომიკის ზრდა, მათ შორის შესაძლებელია „დღეს“ ნაწილში ფასების ზრდა და სხვა შემოსავლები, რომლებიც შეიძლება იყოს ამ მიმართულებით. თქვენ თუ აპელირებთ იმაზე, რომ კონკრეტული მიმართულებით ხდება ფასების ზრდა, შემოდისა გითხრათ, რომ საქართველოს ეკონომიკა იზრდება 10.3%-ით. თუ იმაზე საუბრობთ რა მიმართულებით იზრდება, რა სექტორებშია ზრდა, ესეც ნათლად შეგიძლიათ ნახოთ და მათ შორის, გაეცნოთ იმ სტატისტიკას, რომელიც ჩვენ გვაქვს წლების განმავლობაში, თუნდაც ბოლო წლის განმავლობაში. მიუხედავად კოვიდ პანდემიისა, იზრდება ინტერესი ქალაქის მიმართ და პრივატიზაციის პროცესი, რომელსაც ღიად ვუჭერთ მხარს, შესრულდა რამდენიმე მილიონი ლარით მეტი. ჩვენ, როდესაც გეგმებს ვადგენთ, ვსაუბრობთ კვლევის საფუძველზე და რა ეკონომიური მაჩვენებლებიც გვაქვს, იქედან გამომდინარე. რაც შეეხება მეორე ნაწილს, სადაც საუბრობთ იმაზე, თუ რატომ ვახდენთ შემოსავლების ნაწილის ზრდას ჯარიმებისა და თუ დამატებითი ადმინისტრაციული სახდელებით. ჩვენი თვითმიზანი არ არის მოქალაქეს ჯარიმის საფუძველზე გარკვეული მოსაკრებელი გაეზარდოს, თუმცა, ეს პროცესი პირდაპირ არის დაკავშირებული ადმინისტრირებასთან და მაშინ, როდესაც აღმასრულებელი რგოლი, შესაბამისი პასუხისმგებელი სტრუქტურები ადმინისტრირებას ახდენენ კანონის შესაბამისად, იზრდება ამ ნაწილში შემოსავალი, რისი მკაფიო მაგალითებიც გვაქვს. მე ვისურვებდი, რომ ნაკლები კანონდამრღვევი მოქალაქე ჰყავდეს ჩვენს ქალაქს. რაც შეეხება პარკინგის გადასახადს, თქვენ ახსენეთ და დაარქვით მოსაკრებელი. თავის თავში ეს შეიძლება გულისხმობდეს იჯარის გადასახადს, თუმცა, ცალკე არსებობს კანონი, რომელიც გულისხმობდა პარკირების შესახებ კანონს, რომლითაც რეგულირდება კონკრეტულად ეს საკითხი. ამ შპს-ს წლების განმავლობაში დაგროვილი ჰქონდა გარკვეული დავალიანება. ამ შპს-მ რეალურად შემოსავალი მოუტანა თვითმმართველობას. გასაგებია, ეს შეიძლება ყოფილიყო იჯარის ხარჯზე და არა ადმინისტრირების ხარჯზე, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ. თქვენ ეს კარგად იცით და ბიუჯეტის პროექტში, რომელიც წინ გიდევთ, ყველაფერი ნათლადაა გაწერილი. ჩვენ, ბატონ დავითს ვთხოვეთ წარმოედგინა

ბიუჯეტის პრეზენტაცია, თუ მუხლებთან დაკავშირებით გაქვთ შენიშვნები, შეგიძლიათ წარმოადგინოთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თ.ნადირაძე**: „ბატონო ბესო, თქვენ გაგიკვირდათ 400 ათასი წელიწადში. ერთი შპს-დან მიგქონდათ ამდენი თანხა და ხომ არ ჩამოგიტვალთ რამდენი შპს-ეა ქუთაისში. ამის უარყოფა შეგიძლიათ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **აკოპალეიშვილი**: „ჩვენ, როდესაც ვამბობთ, რომ ბიუჯეტი იზრდება 29 მილიონი ლარით, ბატონი ბესო ამტკიცებს, რომ არ იზრდება. უფრო მარტივად გასაგები რომ იყოს, ვიტყვი. მაშინ, როდესაც წინა წლის ბიუჯეტი დაიგეგმა, ითქვა, რომ შემოსულობები იქნებოდა 60 მლნ. ეს იყო ნაჩვენები იმ შკალაზე. დღეს ვამბობთ, რომ ეს იქნება 89 მლნ. ამათი სხვაობაა 29 მლნ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **დ.ნიშნიანიძე**: „როდესაც 2022 წლის ბიუჯეტს დავაზუსტებთ და ის იქნება 110 მლნ, მისი შედარება მოხდება 2021 წლის დაზუსტებულ ბიუჯეტთან.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ჩემი არ გჯერათ და იქნებ, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსს დაუჯეროთ. მე-17 მუხლის მე-4 ქვეპუნქტი: საბიუჯეტო განაცხადი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას: გასული წლის, რომლის წელიც დახურულია და ფაქტობრივი მდგომარეობა. შეიძლება დავწეროთ, მიმდინარე წლის, შეგვიძლია დაზუსტებული გეგმა ჩავწეროთ დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის. ასე წერია ამ კანონში. თქვენ ამას რა ინტერპრეტირებას უკეთებთ და რა მიმართულებით, თქვენი განსასაზღვრია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **დ.ნიშნიანიძე**: „კანონში არსებული ჩანაწერის მიხედვითაა

დაგეგმილი ბიუჯეტი. თქვენ ახსენეთ ბრძანება, რომელშიც 2018 წლის ივლისში განხორციელდა ძირეული ცვლილებები. 2019 წელს, ფინანსთა სამინისტროსთან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ გააფორმა მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებდა გარკვეული სამიზნე მაჩვენებლების შესრულებას. როდესაც 2020 წლის ბიუჯეტი დავგეგმეთ 2019 წლის დეკემბერში, დეკემბრის შუა რიცხვებში გადავაგზავნეთ ფინანსთა სამინისტროში. ეს არ იყო ხელშეკრულება, აქ იყო „USAID-ის“ გრანტი წარმოდგენილი. ფინანსთა სამინისტრო შეაფასებდა წარმოდგენილი ბიუჯეტის ფორმატის შესაბამისობას, თავისი თანდართული დანართების მიხედვით და ამის მიხედვით, მოხდებოდა გრანტის გადანაწილება. ამ დოკუმენტის შესწავლის შედეგად ჩვენ გარკვეული სამიზნე მაჩვენებლები შევასრულეთ პროგრამული დანართის გარდა და ფინანსთა სამინისტრომ ჩაგვირიცხა 300 ათასი ლარი კონკრეტულად ამ სამიზნე მაჩვენებლების შესრულებისათვის. პროცესი გრძელდება 2022 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით. 15 დეკემბერს გადავაგზავნეთ ბიუჯეტი ფინანსთა სამინისტროში, სამინისტრომ განიხილა, შეისწავლა ამ ყველაფრის შესაბამისობა და ამ საკრებულოს სხდომის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე, მივიღეთ პასუხი. ახლა მზადდება განკარგულების პროექტი, რომლის საფუძველზეც ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას გამოეყოფა 750 ათასი ლარი. ეს არის იმ დოკუმენტების გამო, რომელიც თქვენ არ მოგწონთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „საზოგადოებამ რომ იცოდეს, პროგრამული ბიუჯეტი ქუთაისში 2004 წელს განხორციელდა, ამის შემდეგ თბილისში და შემდეგ მთელი საქართველოს მასშტაბით. თქვენ ღიმილით შეხვდით ამ სიტუაციას, რომ 2004 წელს პროგრამული ბიუჯეტი არ იქნებოდაო. თქვენთვის სამწუხაროდ და ჩემთვის საბედნიეროდ, გვქონდა და ძალიან დიდი გამოცდილებაც გვაქვს რა ფორმით უნდა იყოს. მათ შორის, ვისაც თქვენ კომპეტენტურად მიიჩნევთ ფინანსთა სამინისტროში, საბედნიეროდ, მათზე ძლიერები გვყავს ჩვენ ქუთაისში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია**: „ეს საუბარი შორს წაგვიყვანს. მინდა, უბრალოდ შევეხო პოლიტიკურ ნაწილს. ჩვენ, ახალი მოწვევის საკრებულოს, იმ კანონით

გათვალისწინებული ნორმებიდან გამომდინარე, ვადებთან დაკავშირებული ნორმებიდან გამომდინარე, არ მოგვეცა საშუალება თუნდაც თქვენ დაგეფიქსირებინათ, ან წარმოგედგინათ წინადადებები. ბიუჯეტის დაზუსტება ჩვენ გვიწევს იანვრის ბოლოს რიგით სხდომაზე, მანამ, მე გადავაზობთ ღია, საჯარო პროცესს, მათ შორის, მოსახლეობასთან ერთად, ნებისმიერ ფორმატს, სადაც თქვენს ნებისმიერ ინიციატივას, რომელიც ეხება უშუალოდ მოქალაქეს და ამას წარმოადგენთ არგუმენტირებულად, დავსხდეთ, ვისაუბროთ და შესაბამისი მსვლელობა მივცეთ. მზად ვარ, ნებისმიერ ფორმატში კონკრეტულ წინადადებებზე წამოგყვით და კონკრეტულ შედეგებამდე მივიდეთ. სხვა შემთხვევაში თქვენი სიტყვები დარჩება უბრალოდ ნათქვამ ფრაზებად. აღმასრულებელიც მზადაა ამისათვის. “

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით, სხვა მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ამის შემდეგ, გაიმართა ღია კენჭისყრა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის როგორც შემოსულობების, ისე გადასახდელების თითოეული მუხლის მიხედვით, ცალ-ცალკე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომრის, ირაკლი შენგელიას მიერ ხელახლა გაჟღერებული, დადგენილების პროექტის დანართების მიხედვით წარმოდგენილი ფორმულირებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2022 წლის 29 დეკემბრის სხდომის რეკომენდაციით განსაზღვრული რედაქციული ხასიათის ცვლილებებით (ბიუროს სხდომის რეკომენდაციით, დადგენილების პროექტის დანართებში გასწორდა მუხლების, პუნქტებისა და ქვეპუნქტების დანომვრაში დაშვებული შეცდომები და სტილისტური სახის ხარვეზები).

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის N1 დანართის პირველი თავის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები) 1-ელ მუხლთან (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი) დაკავშირებით. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ

ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ბატონები: კ.გურული, გ.შუმანია, დ.ბახტაძე, ლ.შალამბერიძე, რ.ქვაჩაკიძე, ქალბატონი ა.კობხრიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 11-მა წევრმა, ბატონებმა: გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, კ.გაბუნია, თ.მესხმა, ბ.ბრეგაძემ, ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ქ.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, დ.ფხაკაძემ, ე.არჩაიამ, ნ.ჩიკვაშვილმა), **და ა ა დ გ ი ნ ე ს:**

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის N1 დანართის პირველი თავის 1-ელი მუხლი დამტკიცდეს წარმოდგენილი რედაქციით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის N1 დანართის პირველი თავის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები) მე-2 მუხლთან (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება) დაკავშირებით. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ბატონები: კ.გურული, გ.შუმანია, დ.ბახტაძე, ლ.შალამბერიძე, რ.ქვაჩაკიძე, ქალბატონი ა.კობხრიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 11-მა წევრმა, ბატონებმა: გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, კ.გაბუნია, თ.მესხმა, ბ.ბრეგაძემ, ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ქ.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, დ.ფხაკაძემ, ე.არჩაიამ, ნ.ჩიკვაშვილმა), **და ა ა დ გ ი ნ ე ს:**

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის N1 დანართის პირველი თავის მე-2 მუხლი დამტკიცდეს წარმოდგენილი რედაქციით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის N1 დანართის პირველი თავის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები) მე-3 მუხლთან (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები) დაკავშირებით. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ბატონები: კ.გურული, გ.შუმანია, დ.ბახტაძე, ლ.შალამბერიძე, რ.ქვაჩაკიძე, ქალბატონი ა.კობრიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 11-მა წევრმა, ბატონებმა: გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, კ.გაბუნია, თ.მესხმა, ბ.ბრეგაძემ, ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ქ.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, დ.ფხაკაძემ, ე.არჩაიამ, ნ.ჩიკვაშვილმა), და ა დ გ ი ნ ე ს:

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის N1 დანართის პირველი თავის მე-3 მუხლი დამტკიცდეს წარმოდგენილი რედაქციით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის N1 დანართის პირველი თავის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები) მე-4 მუხლთან (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები) დაკავშირებით. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა. არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ბატონები: კ.გურული, გ.შუმანია, დ.ბახტაძე, ლ.შალამბერიძე, რ.ქვაჩაკიძე, ქალბატონი ა.კობრიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 11-მა წევრმა, ბატონებმა: გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, კ.გაბუნია, თ.მესხმა, ბ.ბრეგაძემ,

ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ქ.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, დ.ფხაკაძემ, ე.არჩაიამ, ნ.ჩიკვაშვილმა), **და ა ა დ გ ი ნ ე ს:**

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის N1 დანართის პირველი თავის მე-4 მუხლი დამტკიცდეს წარმოდგენილი რედაქციით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის N1 დანართის პირველი თავის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები) მე-5 მუხლთან (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები) დაკავშირებით. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ბატონები: კ.გურული, გ.შუმანია, დ.ბახტაძე, ლ.შალამბერიძე, რ.ქვაჩაკიძე, ქალბატონი ა.კობრიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, წინაღმდეგი: 2 წევრი, ბატონები: ბ.ბრეგაძე, კ.გაბუნია, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 9-მა წევრმა, ბატონებმა: გ.კილაძემ, კ.გაბუნია, თ.მესხმა, ქალბატონმა ხ.არველაძემ, ქ.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, დ.ფხაკაძემ, ე.არჩაიამ, ნ.ჩიკვაშვილმა), **და ა ა დ გ ი ნ ე ს:**

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის N1 დანართის პირველი თავის მე-5 მუხლი დამტკიცდეს წარმოდგენილი რედაქციით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის N1 დანართის პირველი თავის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები) მე-6 მუხლთან (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები) დაკავშირებით.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ბატონები: კ.გურული, გ.შუმანია, დ.ბახტაძე, ლ.შალამბერიძე, რ.ქვაჩაკიძე, ქალბატონი ა.კობრიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, წინაღმდეგი: 7 წევრი, ბატონები: ბ.ბრეგაძე, გ.გაბუნია, გ.კილაძე, გ.მანაგაძე, ქალბატონები: დ.ფხაკაძე, ნ.ბიბილეიშვილი, ქ.ხურციძე, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 4-მა წევრმა, ბატონმა თ.მესხმა, ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ე.არჩაიამ, ნ.ჩიკვაშვილმა),

და ა დ გ ი ნ ე ს:

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის N1 დანართის პირველი თავის მე-6 მუხლი დამტკიცდეს წარმოდგენილი რედაქციით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის N1 დანართის პირველი თავის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები) მე-7 მუხლთან (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები) დაკავშირებით. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ბატონები: კ.გურული, გ.შუმანია, დ.ბახტაძე, ლ.შალამბერიძე, რ.ქვაჩაკიძე, ქალბატონი ა.კობრიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, წინაღმდეგი: 2 წევრი, ქალბატონები: ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 9 წევრმა, ბატონებმა: გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, კ.გაბუნია, თ.მესხმა, ბ.ბრეგაძემ, ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ქ.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, დ.ფხაკაძემ), **და ა ა დ გ ი ნ ე ს:**

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის N1 დანართის პირველი თავის მე-7 მუხლი დამტკიცდეს წარმოდგენილი რედაქციით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის N1 დანართის პირველი თავის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები) მე-8 მუხლთან (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება) დაკავშირებით. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ბატონები: კ.გურული, გ.შუმანია, დ.ბახტაძე, ლ.შალამბერიძე, რ.ქვაჩაკიძე, ქალბატონი ა.კობხრიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 11-მა წევრმა, ბატონებმა: გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, კ.გაბუნია, თ.მესხმა, ბ.ბრეგაძემ, ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ქ.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, დ.ფხაკაძემ, ე.არჩაიამ, ნ.ჩიკვაშვილმა), და ა დ გ ი ნ ე ს:

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის N1 დანართის პირველი თავის მე-8 მუხლი დამტკიცდეს წარმოდგენილი რედაქციით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის N1 დანართის პირველი თავის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები) მე-9 მუხლთან (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია) დაკავშირებით. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ბატონები: კ.გურული, გ.შუმანია, დ.ბახტაძე, ლ.შალამბერიძე, რ.ქვაჩაკიძე, ქალბატონი ა.კობხრიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 11-მა წევრმა, ბატონებმა: გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, კ.გაბუნია, თ.მესხმა, ბ.ბრეგაძემ,

ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ქ.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, დ.ფხაკაძემ, ე.არჩაიამ, ნ.ჩიკვაშვილმა), **და ა ა დ გ ი ნ ე ს:**

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის N1 დანართის პირველი თავის მე-9 მუხლი დამტკიცდეს წარმოდგენილი რედაქციით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის N1 დანართის პირველი თავის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები) მე-10 მუხლთან (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება) დაკავშირებით. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ბატონები: კ.გურული, გ.შუმანია, დ.ბახტაძე, ლ.შალამბერიძე, რ.ქვაჩაკიძე, ქალბატონი ა.კობრიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 11-მა წევრმა, ბატონებმა: გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, კ.გაბუნია, თ.მესხმა, ბ.ბრეგაძემ, ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ქ.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, დ.ფხაკაძემ, ე.არჩაიამ, ნ.ჩიკვაშვილმა), **და ა ა დ გ ი ნ ე ს:**

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის N1 დანართის პირველი თავის მე-10 მუხლი დამტკიცდეს წარმოდგენილი რედაქციით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის პირველი თავის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები) N1 დანართის მე-11 მუხლთან (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი

საღი) დაკავშირებით. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ბატონები: კ.გურული, გ.შუმანია, დ.ბახტაძე, ლ.შალამბერიძე, რ.ქვაჩაკიძე, ქალბატონი ა.კობხრიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 11-მა წევრმა, ბატონებმა: გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, კ.გაბუნია, თ.მესხმა, ბ.ბრეგაძემ, ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ქ.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, დ.ფხაკაძემ, ე.არჩაიამ, ნ.ჩიკვაშვილმა), **და ა დ გ ი ნ ე ს:**

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის N1 დანართის პირველი თავის მე-11 მუხლი დამტკიცდეს წარმოდგენილი რედაქციით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის N1 დანართის პირველი თავის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები) მე-12 მუხლთან (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება) დაკავშირებით. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ბატონები: კ.გურული, გ.შუმანია, დ.ბახტაძე, ლ.შალამბერიძე, რ.ქვაჩაკიძე, ქალბატონი ა.კობხრიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 11-მა წევრმა, ბატონებმა: გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, კ.გაბუნია, თ.მესხმა, ბ.ბრეგაძემ, ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ქ.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, დ.ფხაკაძემ, ე.არჩაიამ, ნ.ჩიკვაშვილმა), **და ა დ გ ი ნ ე ს:**

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის N1 დანართის პირველი თავის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები) მე-12 მუხლი დამტკიცდეს წარმოდგენილი რედაქციით.

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების

პროექტის N1 დანართის მე-2 თავის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები) მე-13 მუხლთან (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტები, პროგრამები და ქვეპროგრამები) დაკავშირებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ბატონმა ბ. ბრეგაძემ (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) დასვა შეკითხვები, რომლებზეც გაკეთდა **განმარტებები**:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ანუ, თავი მეორე დავიწყეთ პროგრამული ნაწილით, პროგრამულ ნაწილს არ ვიხილავთ ისე მივყვებით პირდაპირ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ბატონო ბესო, აღნიშნული თავი ბატონმა დავით ნიშნიაძემ წარმოადგინა ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენის დროს, პროექტთან დაკავშირებით განხილვა უკვე იყო, თუ რამ მოსაზრება გქონდათ აღნიშნულის თაობაზე, შეგეძლოთ გამოგეხატათ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) „ვიდრე კენჭს ვუყრით, გამაგებინეთ, ამ ბიუჯეტში ეს თავი ამ ფორმით რატომ არის წარმოდგენილი?“

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **დ.ნიშნიაძე**: „მუხლებს გულისხმობთ? რა არის ამაში უცხო ბატონო ბესო? კარგად იცნობთ ამ კანონმდებლობას, რამდენიმე წუთის წინ ყვებოდიოთ და გეუცხოვებათ მაინც?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მე შეიძლება ბევრი რამ ვიცოდე, მაგრამ დასაწყისში ვთქვი, რომ საზოგადოება გვინდა გავაცნობიეროთ - თქო. მაშინ, ლოგიკურ შეკითხვას გისვამთ, როდესაც გიწერიათ პრიორიტეტები და პროგრამები, პრიორიტეტში: ინფრასტრუქტურის განვითარება - „ა“ ქვეპუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტში

წერია საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება და პროგრამული კოდი, რა ტექსტია თუ შეიძლება, რომ გვითხრათ? წავიკითხავ ტექსტს: „ა.ა) პროგრამა: საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01) პროგრამა გულისხმობს გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ახალი გზების მშენებლობას და არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებას, სატრანსპორტო კვანძების რეაბილიტაციას. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ქალაქში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, გრძელვადიანი საჭიროებებიდან გამომდინარე, მაინც არის მნიშვნელოვანი სამუშაოების განხორციელების აუცილებლობა. ქალაქის ქუჩების ზოგიერთი ნაწილი საჭიროებს კაპიტალურ რეაბილიტაციას, ასევე, მიმდინარე შეკეთებით სამუშაოებს ითხოვს რეაბილიტირებული ქუჩების ნაწილი. ქალაქში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების, სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით, საჭიროა საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგება. ბევრი კორპუსის ეზო საკმაოდ დიდი მანძილით არის დაშორებული კეთილმოწყობილი ცენტრალური თუ მეორეხარისხოვანი გზიდან და იქ მცხოვრებ მოქალაქეებს, ტრანსპორტით თუ ფეხით, ეზომდე მისასვლელად მაინც მოუწესრიგებელი ტერიტორიის გავლით უწევთ გადაადგილება. საჭიროა ცენტრალურ და მეორეხარისხოვან გზებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია, ქალაქის სხვადასხვა უბნებში სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირებისათვის გასაწმენდია ზედმეტი ნატანისაგან დალექილი არხები და ბუნებრივი სასულები, შესაკეთებელი და სარეაბილიტაციოა ნიაღვარმიმღები ობიექტები“. ეს რა შინაარსია, რა დოკუმენტია, ეს არის პროგრამული სახით რაიმე ღონისძიება? მიზანი, ამოცანა, პრიორიტეტი? რა არის, თუ შეიძლება, რომ აგვიხსნათ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ეს საკითხი, როგორც ვიცი, საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილებამ სტილისტურად დაამუშავა, დოკუმენტი ტექსტობრივად გამართულია. თქვენ თუ პროგრამულად გაქვთ შენიშვნა, ეს სხვა საკითხია. არ შეესაბამება ეს ტექსტი პროგრამულ ბიუჯეტს თუ რისი თქმა გსურთ? სხვათაშორის, თითოეული პროგრამისა და ქვეპროგრამის ბიუჯეტი, მიზნები, განხორციელების

ვადები, მოსალოდნელი შედეგები, შეფასების ინდიკატორები და სხვ. დეტალურადაა ასხული დადგენილების პროექტის N2 დანართში, რომელიც მთლიანად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრულ პროგრამებსა და ქვეპროგრამებს ეხება. პირველ დანართში მოცემულია პროგრამების ზოგადი მიმოხილვა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.სიმონიძე** (პარტია „ქართული ოცნება“) „მე არ ვარ მაგ საკითხში კომპეტენტური, მაგრამ ვფიქრობ, ეს არის ჩაშლილი ფინანსები, თუ რა მიმართულებით რა თანხა იხარჯება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე**: „ასე არ შეიძლება ბატონო ირაკლი. მართლა ვერ ვხვდები აქ რა ხდება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონმა ირაკლი შენგელიამ გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის N1 დანართის მე-2 თავის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები) მე-13 მუხლთან (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტები, პროგრამები და ქვეპროგრამები) დაკავშირებით. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ბატონები: კ.გურული, გ.შუმანია, დ.ბახტაძე, ლ.შალამბერიძე, რ.ქვაჩაკიძე, ქალბატონი ა.კოხრიძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა 11-მა წევრმა, ბატონებმა: გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, კ.გაბუნია, თ.მესხმა, ბ.ბრეგაძემ, ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ქ.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, დ.ფხაკაძემ, ე.არჩაიამ, ნ.ჩიკვაშვილმა), **და ა ა დ გ ი ნ ე ს:**

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის N1 დანართის მე-2 თავის მე-13 მუხლი დამტკიცდეს წარმოდგენილი რედაქციით.

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის N1 დანართის მე-3 თავის (ქალაქ ქუთაისის ბიუჯეტის ასიგნებები) მე-14 მუხლთან (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებები) დაკავშირებით, **გამოითქვა შეკითხვა, გაკეთდა განმარტებები:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ვერ გავიგე, კიდეც ორგანიზაციული კოდით უყრით კენჭს ბატონო ირაკლი? მე, აქ, მუხლი მე-15 მიწერია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისაგან ნებართვის მიღების შემდეგ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, ქალბატონმა **ც.პატარიძემ** ბატონ ბ.ბრეგაძის შეკითხვასთან დაკავშირებით **განმარტა:** „ეს მუხლი მე-14-ა. მუხლებისა და ქვეპუნქტების ნუმერაციაში იყო ტექნიკური შეცდომა დაშვებული, დოკუმენტში ასევე იყო სტილისტური ხასიათის ხარვეზებიც, მოგეხსენებათ, ძირითადი დოკუმენტი 200 გვერდზე მეტია, 400 გვერდი მაინც იქნება თანდართული მასალა და თავისთავად, ამოდენა მოცულობის დოკუმენტში გამორიცხული არაა, რომ ტექნიკური ხარვეზი გაიპაროს. შეცდომები გასწორდა ბიუროს სხდომაზე. სხვათაშორის, დოკუმენტში არსებული ყველა შეცდომა წინასწარ დამუშავდა, რომელიც ჩემს მოხსენებით ბარათში იყო ასახული ბიუროს სხდომაზე გასაუღერებლად. სწორედ, ამ გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, დოკუმენტში შესატანი ცვლილებები ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, სხდომის წინა დღეებში გავუგზავნე საკრებულოს თავმჯდომარეს, რომლის მიერ, ჩემი მოხსენებითი ბარათი საკრებულოს ყველა წევრს გადმოგეწერათ იმისათვის, რათა წინასწარ მიგეღოთ ინფორმაცია, თუ რა სახის შეცდომა იყო გაპარული და როგორ შეიძლებოდა გასწორებულიყო ეს ხარვეზები დადგენილების პროექტსა და მის დანართებში. ალბათ, არ გინახავთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია:** „საბოლოო ვერსია გასწორებულია რედაქციულად და ეს ჩასწორება შევიტანეთ ბიუროს სხდომაზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მე ეს ცვლილებები არ მინახავს. კომპიუტერულ კი არა მაქვს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონმა ირაკლი შენგელიამ გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის N1 დანართის მე-3 თავის (ქალაქ ქუთაისის ბიუჯეტის ასიგნებები) მე-14 მუხლთან (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებები) დაკავშირებით. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ბატონები: კ.გურული, გ.შუმანია, დ.ბახტაძე, ლ.შალამბერიძე, რ.ქვაჩაკიძე, ქალბატონი ა.კობრიძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა 11-მა წევრმა, ბატონებმა: გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, კ.გაბუნია, თ.მესხმა, ბ.ბრეგაძემ, ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ქ.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, დ.ფხაკაძემ, ე.არჩაიამ, ნ.ჩიკვაშვილმა), **და ა ა დ გ ი ნ ე ს:**

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის N1 დანართის მე-3 თავის მე-14 მუხლი დამტკიცდეს წარმოდგენილი რედაქციით.

დადგენილების პროექტის N1 დანართის მე-4 თავის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმები) მე-15 მუხლის კენჭისყრაზე დაყენებამდე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ბატონმა **გ.კილაძემ** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) მოითხოვა კითხვების დასმა კონკრეტულ მუხლებთან დაკავშირებით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „როდესაც დავაყენებთ კენჭისყრაზე რომელიმე მუხლს, მოგცემთ საშუალებას, გამოთქვათ აზრი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გ.კილაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მე მგონი, ჯობდა გვემსჯელა წინასწარ ამ საკითხებთან დაკავშირებით და მერე დაგვეყენებინა კენჭისყრაზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია**: „მუხლებთან დაკავშირებით თუ გქონდათ შენიშვნა, შეგეძლოთ წარმოგედგინათ, პროექტის განხილვის დროს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გ.კილაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მაინტერესებს, როგორ არის კოლია ქვარიანის ამერიკიდან გადმოსვენების თემა. ეს საკითხი 2020 წლის ბიუჯეტში იყო ასახული. 57 ათას ლარზე იყო საუბარი. 2021 წლის ბიუჯეტშიც იყო ასახული. მაინტერესებს, ეს საკითხი გადაწყდება თუ არა წელს?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია**: „ბატონო გიორგი, ამ მუხლს ეხება ეს საკითხი?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გ.კილაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „რა მნიშვნელობა აქვს. პროგრამულ ბიუჯეტს განვიხილავთ და არა აქვს მნიშვნელობა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თ.ჯუღელი**: „მოვიკითხეთ ეს საკითხი კომისიის სხდომაზე და მივიღეთ პასუხი, რომ დეტალები მოსაწერიგებელი იყო საელჩოებს შორის. კოლია ქვარიანი ჩემი ძმისშვილის დიდი ბაბუა იყო და ვიცი, რომ მოწესრიგდა ეს საკითხი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გ.კილაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „კოლია ქვარიანის სურვილი იყო, მისი გარდაცვალების შემდეგ ის ქუთაისში გადმოესვენებინათ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია**: „ეს საკითხი რამდენად კავშირშია მე-4 თავის მე-15 მუხლთან. თუ

მუხლს არ ეხება, დამატებითი კომენტარები გააკეთეთ მაშინ, როდესაც დავასრულებთ მუხლობრივ განხილვას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის N1 დანართის მე-4 თავის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმები) მე-15 მუხლთან (მუხლი 15. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი – 280.0 ათასი ლარი მიიმართოს: „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 270.0 ათასი ლარის ოდენობით, „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 10,0 ათასი ლარის ოდენობით.) დაკავშირებით. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ბატონები: კ.გურული, გ.შუმანია, დ.ბახტაძე, ლ.შალამბერიძე, რ.ქვაჩაკიძე, თ.მესხი, გ.კილაძე, ქალბატონი ა.კობრიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 9 წევრმა, ბატონებმა: გ.მანაგაძემ, კ.გაბუნია, ბ.ბრეგაძემ, ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ე.ხურციძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, დ.ფხაკაძემ, ე.არჩაიამ, ნ.ჩიკვაშვილმა),
და ა დ გ ი ნ ე ს:

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის N1 დანართის მე-4 თავის მე-15 მუხლი დამტკიცდეს წარმოდგენილი რედაქციით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ბატონ ირაკლი შენგელიას მიერ, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის N1 დანართის მე-4 თავის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმები) მე-16 მუხლის

წარმოდგენის შემდეგ, ამ მუხლთან დაკავშირებით, კენჭისყრის პროცედურის გამართვამდე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ბატონმა **ბ.ბრეგაძემ** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) განაცხადა: „მუხლს ისე უყრით კენჭს, რომ აზრის გამოთქმის საშუალებას არ გვაძლევთ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „გაძლევთ საშუალებას ბატონო ბესო, გვეკითხებით, კონკრეტულად ამ მუხლთან დაკავშირებით, გაქვთ შეკითხვა?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „შეიძლება ვიკითხო? საზოგადოებრივი ჯანდაცვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებაზე 280 ათას ლარზეა საუბარი ხომ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ბატონო ბესო, თქვენ საუბრობთ მე-15 მუხლზე. ამ საკითხს ვუყარეთ კენჭი და საკითხი მიღებულია. ახლა განვიხილავთ ბიუჯეტის მე-16 მუხლს. ამ მუხლთან დაკავშირებით თუ გაქვთ შეკითხვა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ იღებს 10 წუთიან შესვენებას, რეგლამენტით გათვალისწინებულს. ამ მუხლს განვიხილავთ და მოვალთ. რეგლამენტით გვაქვს ამის უფლება და ვიღებთ 10 წუთიან შესვენებას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „თქვენ გაქვთ უფლება ისარგებლოთ შესვენებით, თუმცა, დავაყენებ კენჭისყრაზე თქვენს წინადადებას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „თქვენ შეგიძლიათ ნახოთ რეგლამენტში, რომ ფრაქციას აქვს ყველა მუხლის წინ, 10 წუთიანი შესვენების აღების უფლება განხილვის მიზნით. ვიყენებთ ამ უფლებამოსილებას. ფრაქციის ეს

უფლებამოსილება დაკმაყოფილებული უნდა იქნეს დაუყოვნებლივ. გარკვევით წერია ჩვენს მიერ მიღებულ რეგლამენტში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო წევრის, ბატონი ბესო ბრეგაძის წინადადების შესახებ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სახელით, შესვენების გამოცხადების თაობაზე. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ბატონები: კ.გურული, გ.შუმანია, გ.კილაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, თ.მესხი, ბ.ბრეგაძე, ქალბატონები: ხ.არველაძე, ქ.ხურციძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ფხაკაძე, ა.კობრიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 19 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა 1-მა წევრმა, ქალბატონმა ე.არჩაიამ), და ა ა დ გ ი ნ ე ს:

არ დაკმაყოფილდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ბესო ბრეგაძის (რომელიც არ არის საკრებულოს არცერთი ფრაქციის წევრი), წინადადება ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სახელით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმდინარე სხდომაზე 10 წუთიანი შესვენების გამოცხადების თაობაზე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი თ.ჯუღელი: „14 საათზე დაიწყო ჩვენი სხდომა. გენდერული თანასწორობის საკითხში მე როგორც ქალი და როგორც დედა მოვითხოვ, თუ სხვას აქვს უფლება, მეც მაქვს უფლება მოვითხოვო, ვიყოთ კონსტრუქციულები და სოლიდარულები დედების მიმართ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „შესაბამისად მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ არ შევისვენოთ და განვაგრძოთ მუშაობა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება „ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის N1 დანართის მე-4 თავის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმები) მე-16 მუხლთან (მუხლი 16. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დამტკიცებული ხარჯების დაფინანსება განხორციელდეს „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ, „გადახდების განხორციელების წესის შესახებ, ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანების შესაბამისად.) დაკავშირებით. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ბატონები: კ.გურული, გ.შუშანია, დ.ბახტაძე, ლ.შალამბერიძე, რ.ქვაჩაკიძე, თ.მესხი, გ.კილაძე, ქალბატონი ა.კობხრიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 9 წევრმა, ბატონებმა: გ.მანაგაძემ, კ.გაბუნია, ბ.ბრეგაძემ, ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ე.ხურციძემ, ნ.ბიბილიაშვილმა, დ.ფხაკაძემ, ე.არჩაიამ, ნ.ჩიკვაშვილმა),
და ა დ გ ი ნ ე ს:

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის N1 დანართის მე-4 თავის მე-16 მუხლი დამტკიცდეს წარმოდგენილი რედაქციით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის N1 დანართის მე-4 თავის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმები) მე-17 მუხლთან (მუხლი 17. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ხარჯები ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების 7.0%-ს შეადგენს, რითაც დაცულია საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 156-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა-არ აღემატება 25%-ს.) დაკავშირებით. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 21-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ბატონები: კ.გურული, გ.შუშანია, დ.ბახტაძე, ლ.შალამბერიძე, რ.ქვაჩაკიძე, თ.მესხი, გ.კილაძე,

გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ბ.ბრეგაძე, ქალბატონები: ხ.არველაძე, ქ.ხურციძე, ნ.ბიბილეიშვილი, ა.კობრეიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 3-მა წევრმა, ქალბატონებმა: ე.არჩაიამ, ნ.ჩიკვაშვილმა, დ.ფხაკაძემ), **და ა ა დ გ ი ნ ე ს:**

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის N1 დანართის მე-4 თავის მე-17 მუხლი დამტკიცდეს წარმოდგენილი რედაქციით.

